ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში ჩართულები არ ყოფილან სკოლის მოსწავლეები და მოსწავლეთა მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, შესაბამისად, დაცული არ იყო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრული წესი (თავი 7, პ. 3). აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში აღინიშნა, რომ ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან ასევე გაიცა რჩევაა: დაწესებულებამ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრისას ბრძანებაში მიუთითოს კონკრეტული პირი ან თანამდებობა იმ სახით, რომ მომხდარიყო კონკრეტული პირების იდენტიფიცირება.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც ახლავს სსიპ ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის MES 6 26 0000002-31 ბრძანება „სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფში ცვლილების განხორციელების შესახებ“. დგინდება, რომ ბრძანებით განახლდა სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და შესაბამისობაში მოვიდა სკოლის მეთოდოლოგიურ დოკუმენტთან. ასევე, დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის რჩევა და სამუშაო ჯგუფის წევრების განსაზღვრისას დააზუსტა კონკრეტული პირები. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2. №1.2.1.1. ინდიკატორთან მიმართებით:**

ავტორიზაციის განაცხადით წარმოდგენილი მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიხედვით, სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცებაზე უფლებამოსილია სკოლის დირექტორი (თავი 8, პ.16), რითაც დოკუმენტი შეუსაბამობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობებთან“ (მუხლი 6, პ. 1, „ა“ ქვეპუნქტი), რომლის თანახმადაც, დირექტორის კომპეტენციას განეკუთვნება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა. აღნიშნულის გათვალისწინებით, დადგინდა ხარვეზი, რის შესახებაც აისახა დასკვნის პროექტში.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც არ ახლავს შეცვლილი მეთოდოლოგიური დოკუმენტი, ასევე, ინფორმაცია აღნიშნული აქტივობის შესახებ არ არის ასახული შესაბამისობის გეგმაში, რის გამოც არ შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის შეფასება. **სტანდარტის ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

### 3. №1.2.1.2 ინდიკატორთან მიმართებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, თითოეული სტრატეგიული მიზნისათვის განსაზღვრულია ამოცანები, რომელთა შესრულებით უნდა მოხდეს სტრატეგიული მიზნების მიღწევა. აღსანიშნავია, რომ გარკვეულ შემთხვევებში გვხვდება დაფიქსირდა მიზნების და მათ მისაღწევად განსაზღვრული ამოცანების შინაარსობრივი იდენტურობა (სტრატეგიული მიზანი - სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაა, ხოლო მის მისაღწევად განსაზღვრული ერთ-ერთი ამოცანაა - სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა; სტრატეგიული მიზანი - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაა, ხოლო მის მისაღწევად განსაზღვრული ამოცანა - ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება). მიზანი კი უნდა იყოს ფართო და შედეგზე ორიენტირებული, ხოლო ამოცანები - კონკრეტული, მოქმედებადი და გაზომვადი (რა კონკრეტული საკითხებია გადასაწყვეტი, ქმედებები, ნაბიჯები, რომელთა საშუალებითაც სკოლამ უნდა მიაღწიოს დასახულ მიზანს).

ასევე, ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის ბრძანებით (თუმცა, აღნიშნული წარმოადგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილებას, სკოლის დირექტორის უფლებამოსილება კი შემოიფარგლება სამეურვეო საბჭოსათვის სტრატეგიული განვითარების გეგმის წარდგენით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობები“, მუხლი 6, პ. 1, „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად). აღნიშნულის გათვალისწინებით დადგინდა ხარვეზი, რის შესახებაც აღინიშნა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა კორესპოდენცია, რომელზე თანდართული დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად, სკოლის დირექტორმა უზრუნველყო განახლებული სტრატეგიული განვითარების გეგმის სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენა და სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა წარდგენილი დოკუმენტი.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **N.1.2.1.3 ინდიკატორთან მიმართებით:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის ბრძანებით (რაც წარმოადგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილებას, სკოლის დირექტორის უფლებამოსილება კი შემოიფარგლება სამეურვეო საბჭოსათვის სტრატეგიული განვითარების გეგმის წარდგენით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებების პირობები“, მუხლი 6, პ. 1, „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, დადგინდა ხარვეზი, რის შესახებაც აღინიშნა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა კორესპოდენცია, რომელზე თანდართული დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად, სკოლის დირექტორმა უზრუნველყო განახლებული სამოქმედო გეგმის სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენა და სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა წარდგენილი დოკუმენტი. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **N.1.2.1.4 ინდიკატორთან მიმართებით:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი სკოლის სამოქმედო გეგმის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობის მიმართულებები არ ემთხვეოდა სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. ამასთან, სამოქმედო გეგმაში არ იყო განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები, აუცილებელი რესურსები და შესრულების ინდიკატორები. აღნიშნულის გათვალისწინებით, დადგინდა ხარვეზი, რის შესახებაც აისახა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა კორესპოდენცია, რომელზე თანდართული დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა დამატებით იმუშავა სამოქმედო გეგმის დოკუმენტზე, განხორციელდა შემუშავებული პროექტის განხილვა უფრო ფართო სასკოლო საზოგადოებასთან და შემუშავებული დოკუმენტი სკოლის დირექტორმა დასამტკიცებლად წარუდგინა სკოლის სამეურვეო საბჭოს. განახლებული სამოქმედო გეგმა შესაბამისობაში მოვიდა სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებთან, ასევე, სამოქმედო გეგმაში განისაზღვრა პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, რესურსები და შესრულების ინდიკატორები. დოკუმენტი დამტკიცდა სკოლის სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 1-ელი აპრილის სხდომაზე (ოქმი №3). ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება. **სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **N 3.1.2.1 ინდიკატორთან მიმართებით:**

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი პერსონალის მართვის პოლიტიკა დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის ბრძანებით, რაც შეუსაბამობაში მოდიოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2027 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობებთან", რომლის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალის მართვის პოლიტიკა სკოლის დირექტორმა დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს სკოლის სამეურვეო საბჭოს. აღნიშნულის გათვალისწინებით, დადგინდა ხარვეზი, რაც დაფიქსირდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში. დამატებით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რჩევა: სკოლამ განსაზღვროს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის შერჩევის პროცედურა.
დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც ერთვის სკოლის სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 16 მარტის №3 სხდომის ოქმი. ოქმით დგინდება, რომ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცდა სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წარმოდგენილია განახლებული დოკუმენტიც, მასში დაზუსტებულია ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის შერჩევის საკითხებიც. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. **N 3.2.1.1 ინდიკატორთან მიმართებით:**

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკაში თანამშრომელთა შეფასების პროცესში გამოსაყენებელი მიდგომები განსაზღვრული იყო მაგალითების სახით და იყო დაზუსტებული, კონკრეტულად რომელი მათგანი უნდა ყოფილიყო გამოყენებული თანამშრომლების შეფასების პროცესში, ასევე, ვინ, როდის და რა პროცედურით შეაფასებდა პერსონალს. აღნიშნულის გათვალისწინებით, დადგინდა ხარვეზი, რის შესახებაც აისახა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელითაც დგინდება, რომ სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა განახლებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და დაზუსტდა სკოლის პერსონალის შეფასების წესი, რის საფუძველზეც შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება. **სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. **3.3.1.2 ინდიკატორთან მიმართებით:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ თითოეული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესი აღწერილია სტრუქტურირებულ ფორმატში, რომელიც მოიცავს პროცესის მიზანს, ქვეპროცესებს, პასუხისმგებელ პირებსა და

განხორციელების მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალედ და ეფექტურად განხორციელებას. ამასთან, უშუალოდ პროცესის აღმწერები ვიზიტის მიმდინარეობისას არ იყო შემუშავებული და დამტკიცებული, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში აისახა ხარვეზი.
არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია თანდართული დოკუმენტაციით. წარმოდგენილია სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის ბრძანება N2-51 „სსიპ ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პირების დამტკიცების შესახებ", ასევე, წარმოდგენილია სკოლის დირექტორის 2026 წლის 27 აპრილის N2-32 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმა" (მოიცავს 2025-2026 სასწავლო წლის მეორე სემესტრის ფარგლებში შესაფასებელ სამ პროცესს). ამასთან, არ არის წარმოდგენილი სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების უშუალოდ აღმწერი დოკუმენტი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული პოზიცია არ შეცვლილა. **სტანდარტის ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

**9. N 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით:**

ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ შენობა-ნაგებობაში დამონტაჟებულია ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა, თუმცა, სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. ამასთან, მონიტორი განთავსებულია ისტ-ის ოთახში, რის გამოც ვერ ხდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის მეთვალყურეობა უწყვეტ რეჟიმში, რის საფუძველზეც დადგინდა ხარვეზი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, აღნიშნულის ინდიკატორის ნაწილში ტექნიკური ხარვეზია, მასში შეუსაბამობის სახით აღნიშნულია, რომ ნაგებობაში დამონტაჟებული ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა, სრულად ვერ უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს, ასევე, ვერ ხდება პერიმეტრის უწყვეტ რეჟიმში მეთვალყურეობა. საკითხის მოწესრიგების მიზნით დაგეგმილი აქტივობის დასრულების ვადად განსაზღვრულია 2027 წლის აპრილის თვე, თუმცა, მტკიცებულებების ნაწილში მითითებული და გეგმაზე თანდართული შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულებით ვერ მოხდება შეუსაბამობის აღმოფხვრა (ხელშეკრულების საგანი არ უკავშირდება დადგენილ ხარვეზს). შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება არ იცვლება. **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

**10. N 3.5.1.4. ინდიკატორთან მიმართებით:**

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღინიშნა, რომ დაგეგმილი პანდუსის მოწყობა ვერ უზრუნველყოფს შენობის სრულ ადაპტაციას სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის, რადგან შენობის მეორე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, დირექტორის კაბინეტი და სხვა აუცილებელი სივრცეები და მიზანშეწონილია, სკოლამ იზრუნოს შენობის ისეთ ადაპტაციაზე, რომ საჭიროების შემთხვევაში, ეტლით მოსარგებლე პირს ჰქონდეს ყველა აუცილებელ სივრცეზე წვდომის შესაძლებლობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, დადგინდა ხარვეზი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება ნაწილობრივ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას და 2028 წლის აპრილის ჩათვლით გეგმავს ინდიკატორთან სრულად შესაბამისობაში მოყვანას. გეგმის დანართი №2-ის სახით წარმოდგენილია რეგიონული განვითარების სააგენტოსათვის მიმართვა (დაფიქსირებულია, რომ სკოლა არ არის უზრუნველყოფილი მეორე სართულზე ასასვლელი ლიფტით), ასევე, წარმოდგენილია დანართი №3 - გამოცხადებული ტენდერის დოკუმენტაცია სკოლის შესასვლელში პანდუსის მოწყობასთან დაკავშირებით.
შესაბამისობის გეგმის და თანდართული მტკიცებულებების შეფასების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა შეცვალა დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება და გაიცა რეკომენდაცია:
სკოლის შენობა-ნაგებობა, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ლიფტით. **ინდიკატორთან ნაწილობრივ შესაბამისია.**

11. **N 3.6.1.1. ინდიკატორთან მიმართებით:**

ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა საჭიროებს განახლებას. სკოლაში არსებული კომპიუტერები შეყვანილია ამორტიზებულ ძირითად აქტივებში, აღსანიშნავია, რომ სკოლის ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები ახალი კომპიუტერების შესაძენად.
ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, დადგინდა ხარვეზი, რის შესახებაც აისახა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის, წარმოდგენილია 2026 წლის 28 აპრილს სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლასა და შპს „იუჯითის“ შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დგინდება, რომ დაწესებულებას დამატებით გადაეცა პერსონალური კომპიუტერების კომოპლექტი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა შეცვალა დასკვნის პროექტში გათვალისწინებული შეფასება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

12. **N 2.1.2.1, №2.1.2.2, N2.1.2.3, N 2.2.1.1, N 2.2.2.1 და N2.2.2.3 ინდიკატორებთან დაკავშირებით:** ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის მხრიდან დადგინდა ხარვეზები. კერძოდ, საავტორიზაციო განაცხადით, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში არ იყო წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო საბაზო საფეხურზე მუსიკასა და

სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, რის გამოც ვერ მოხერხდა კურიკულუმის შეფასება მითითებულ ინიკატორებთან მიმართებით.

არგუმენტირებული პოზიციის და თანდართული დოკუმენტაციის მიღების შემდეგ, ექსპერტს საშუალება ჰქონდა, გაცნობოდა კურიკულუმებს. შესწავლის შედეგად შეიცვალა დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება და დადგინდა ინდიკატორთან შესაბამისობა.

ასევე, **N 2.1.2.1 ინდიკატორთან დაკავშირებით** დადგენილი იყო ხარვეზი იმ საფუძვლით, რომ კურიკულუმები წარმოდგენილი იყო უცხოურ ენაზე. დაწესებულებამ უზრუნველყო შესაბამისი ქართულენოვანი კურიკულუმების წარმოდგენა, რის საფუძველზეც შეიცვალა ექსპერტის შეფასება და დადგინდა ინდიკატორთან შესაბამისობა.

**13. ინდიკატორი N2.2.2.3 ინდიკატორთან მიმართებით:**

ვიზიტის ფარგლებში საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმზე დადგინდა ხარვეზი:

სკოლას არ აქვს ლაბორატორია. განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურზე ექსპერიმენტული ნაწილი მნიშვნელოვანია სრულყოფილი სასწავლო რეჟიმის განხორციელებისა და კურიკულუმით განსაზღვრული შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელად, რაც ხელს შეუწყობს საბუნებისმეტყველო საგნებისადმი ინტერესის გაზრდას და შემოქმედებითი პროდუქტების მრავალფეროვან არჩევანს.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა, რომლითაც დგინდება, რომ დაწესებულება საკუთარ თავს აფასებს როგორც მეტწილად შესაბამისს ინდიკატორის მოთხოვნებთან და 2027 წლის აპრილის ჩათვლით დაგეგმილია სასწავლო პროცესის ლაბორატორიით უზრუნველყოფა. ასევე წარმოდგენილია

სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითრების დეპარტამენტის წერილი და ხარჯთაღრიცხვა (დანართი N4. სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების წერილი სკოლას. დანართი N5. ხარჯთაღრიცხვა).

წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა, რის საფუძველზეც შეიცვალა დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება და გაიცა რეკომენდაცია, სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიის მოწყობა და აღჭურვა. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

### 1. სკოლის ფილოსოფია
### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის მისიაა, შექმნას საგანმანათლებლო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას, აკადემიური ცოდნისა და უნარების განვითარებას, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბებას, დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის უფლებების პატივისცემისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდას, თითოეული მოსწავლისათვის თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი განათლების მიცემასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებას. წარმოდგენილი სახით, მისია ასახავს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებს და თანხვედრაშია მათთან. კერძოდ:

- მისია ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე, რაც შესაბამისობაშია ზგემ-ის ერთ-ერთ მთავარ მიზანთან - ინდივიდის სრულფასოვან განვითარებასთან;
- მისიაში ხაზგასმულია აკადემიური ცოდნისა და უნარების განვითარება, რაც პასუხობს განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებულ პოლიტიკას;
- კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბება - ასახავს თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის მოთხოვნას მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაზე;
- მისია მოიცავს დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის უფლებების პატივისცემისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაძლიერებას, რაც შესაბამისობაშია მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბების ეროვნულ მიზანთან;
- აქცენტი კეთდება თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამის განათლებაზე;
- ასევე, გათვალისწინებულია ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბება, რაც მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

სკოლის მომავლის ხედვაა, რომ ჩამოყალიბდეს თანამედროვე, ინკლუზიურ და ხარისხზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელიც აღზრდის დამოუკიდებლად მოაზროვნე, პასუხისმგებელ და ეთიკურ პიროვნებებს, შეძლებს მოსწავლეთა მომზადებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისთვის და მათთვის უწყვეტი განათლებისა და თვითგანვითარების საფუძველს შექმნის. მოსწავლეთა ინიციატივებისა და სპორტული აქტივობების ხელშეწყობით, მათთვის სტიმულის მიცემით, სკოლა შექმნის სათანადო პირობებს, რათა მოსწავლეებმა არ შეწყვიტონ განვითარებაზე ზრუნვა.
წარმოდგენილი სახით, სკოლის ხედვა ავითარებს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს პრაქტიკულ ჭრილში - აჩვენებს, როგორ ხედავს სკოლა ამ მიზნების რეალიზაციას საკუთარ კონტექსტში.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ემსახურება მათ მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისია და ხედვა ასახავს დაწესებულების გააზრებულ როლს სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებაში. მისიაში მკაფიოდ იკვეთება პიროვნულ განვითარებაზე ორიენტაცია, რაც გამოხატულია მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების განვითარებაზე, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე აქცენტით. ასევე, ხაზგასმულია დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის უფლებებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარება, რაც მიუთითებს სკოლაზე, როგორც სოციალურ სივრცეზე, სადაც ყალიბდება აქტიური და პასუხისმგებლიანი მოქალაქე. სკოლის ხედვა ავსებს აღნიშნულ მიდგომას და უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს სკოლას, როგორც:

- ინკლუზიურ გარემოს, რაც გულისხმობს ყველა მოსწავლის მხარდაჭერას და თანასწორობის პრინციპების დაცვას;
- ხარისხზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო სივრცეს;
- გარემოს, რომელიც ხელს უწყობს დამოუკიდებელი, ეთიკური და პასუხისმგებლიანი პიროვნებების ჩამოყალიბებას;
- სივრცეს, სადაც მოსწავლეები მზადდებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის და გამოიმუშავებენ თვითგანვითარების უნარს.

ამასთან, ხედვაში წარმოდგენილი მოსწავლეთა ინიციატივებისა და სპორტული აქტივობების მხარდაჭერა მიუთითებს, რომ სკოლა საკუთარ თავს აღიქვამს არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ სოციალურ და კულტურულ სივრცედ, სადაც წახალისებულია ჩართულობა, აქტივობა და მრავალმხრივი განვითარება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული გაცხადებულია არამხოლოდ ხედვაში, არამედ ნათლად არის გამოკვეთილი სკოლის ყოველდღიურ პრაქტიკაში.

საერთო ჯამში, მისია და ხედვა აჩვენებს, რომ სკოლა საკუთარ როლს განიხილავს როგორც უსაფრთხო და მხარდამჭერ სოციო-კულტურულ სივრცეს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის სრულფასოვან განვითარებას და საზოგადოებაში ინტეგრაციას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 18 სექტემბრის №2-26 ბრძანებით დამტკიცებულია „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“, რომელიც არეგულირებს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების პროცესს სკოლაში. მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული არიან შემდეგი მხარეები: სკოლის დირექცია, სასკოლო საზოგადოება (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი), სამეურვეო საბჭო და თემი. დოკუმენტის მიხედვით, სკოლა სტრატეგიული დაგეგმვისას იცავს თანამონაწილეობის და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების პრინციპებს.
სკოლის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №2-31 ბრძანებით შეიქმნა სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც, ვიზიტის ფარგლებში მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილები იყვნენ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, სკოლის საქმისმწარმოებელი, დაწყებითი კათედრის მდივანი, სამეურვეო საბჭოს წევრი მასწავლებელი, საშუალო საფეხურის თვითმმართველობის თავმჯდომარე, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის თავმჯდომარე.
ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იყო სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობასთან, პედაგოგიურ საბჭოზე და სამეურვეო საბჭოზე საკითხის განხილვის ოქმები, რითაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოების წევრების მონაწილეობა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში, ასევე, მათი გაზიარება უფრო ფართო საზოგადოებასთან. ამასთან, დადგინდა, რომ უშუალოდ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში ჩართულები არ ყოფილან სკოლის მოსწავლეები და მოსწავლეთა მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, შესაბამისად, დაცული არ იყო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრული წესი (თავი 7, პ. 3).
ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში აღინიშნა, რომ ინდიკატორის მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან ასევე გაიცა რჩევაა: დაწესებულებამ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრისას ბრძანებაში მიუთითოს კონკრეტული პირი ან თანამდებობა იმ სახით, რომ მომხდარიყო კონკრეტული პირების იდენტიფიცირება.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც ახლავს სსიპ ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის MES 6 26 0000002-31 ბრძანება „სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის

მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფში ცვლილების განხორციელების შესახებ“. დგინდება, რომ ბრძანებით განახლდა სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და შესაბამისობაში მოვიდა სკოლის მეთოდოლოგიურ დოკუმენტთან. ასევე, დაწესებულებამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის რჩევა და სამუშაო ჯგუფის წევრების განსაზღვრისას დააზუსტა კონკრეტული პირები. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება.

**სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარება დასტურდება სტრატეგიულ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმებით და გასაუბრებით სასკოლო საზოგადოების წევრებთან. ხედვა და ღირებულებები განხილულია პედაგოგიური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე, ასევე, წარმოდგენილია კლასის დამრიგებლების ანგარიშები და მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ საკითხი გაზიარებული და განხილულია მოსწავლეებთან და მშობლებთან და მოწონებულია მათი მხრიდან. მისია, ხედვა და ღირებულებები სასკოლო საზოგადოების წევრებთან გაზიარებულია სხვადასხვა არხით: განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე (skolebi.emis.ge), ასევე, განთავსებულია სკოლის ცენტრალურ შესასვლელში. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. კერძოდ, გამოკრულია სკოლის ცენტრალურ შესასვლელში, ასევე, განთავსებულია სკოლის გვერდზე ვებგვერდზე: skolebi.emis.ge. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელოწდება შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერმინოლოგიას (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებას „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად

დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 18 სექტემბრის №2-26 ბრძანებით დამტკიცებულია „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“;
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №2-31 ბრძანება სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი №1 (20/09/2025); ოქმი №2 (23.09.2025) და ოქმი №3 (29.09.2025);
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025-2032);
- სკოლი გვერდი ვებგვერდზე: Skolebi.emis.ge;
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის სხდომის ოქმი №6;
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2025 წილს 20 ოქტომბრის სხდომის ოქმი №8;
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის VII-XII კლასის მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებთან სკოლის ფილოსოფიური დოკუმენტაციის პროექტების გაცნობის შესახებ ოქმი (10/10/2025);
- დამრიგებლის ანგარიში მშობლებთან სტრატეგიული გეგმის განხილვის შესახებ;

**შეფასება:**
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**
**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 18 სექტემბრის №2-26 ბრძანებით დამტკიცებულია „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია", რომელიც არეგულირებს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების პროცესს სკოლაში. მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართულები არიან შემდეგი მხარეები: სკოლის დირექცია, სასკოლო საზოგადოება (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი), სამეურვეო საბჭო, თემი. მეთოდოლოგიური დოკუმენტის თანახმად, სკოლა სტრატეგიული დაგეგმვისას იცავს თანამონაწილეობისა და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების პრინციპებს. სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტების გაზიარებით. ვიზიტის ფარგლებში სკოლამ ასევე წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების წევრების გამოკითხვის ფორმები, რომლითაც დასტურდება მათი დამოკიდებულებების და ინტერესების შესწავლა.
მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტის შემუშავება;
- პროექტების გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის/თემისთვის;
- მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა;

- სკოლის დირექტორის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების განხილვა და სამეთვალყურეო საბჭოსთან წარდგენა შესათანხმებლად;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცება დირექტორის მიერ და გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

შესაბამისად, სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესში სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას.

აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის განაცხადით წარმოდგენილი მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიხედვით, სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცებაზე უფლებამოსილია სკოლის დირექტორი (თავი 8, პ.16), რითაც დოკუმენტი შეუსაბამობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობებთან“ (მუხლი 6, პ. 1, „ა“ ქვეპუნქტი), რომლის თანახმადაც, დირექტორის კომპეტენციას განეკუთვნება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა. აღნიშნულის გათვალისწინებით, დადგინდა ხარვეზი, რის შესახებაც აისახა დასკვნის პროექტში.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც არ ახლავს შეცვლილი მეთოდოლოგიური დოკუმენტი, ასევე, ინფორმაცია აღნიშნული აქტივობის შესახებ არ არის ასახული შესაბამისობის გეგმაში, რის გამოც არ შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის შეფასება.

**სტანდარტის ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს შვიდწლიან პერიოდს (2025-2032, სასწავლო წლები). გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. მასში გამოკვეთილია შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;

- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება.

თითოეული სტრატეგიული მიზნისათვის განსაზღვრულია ამოცანები, რომელთა შესრულებით უნდა მოხდეს სტრატეგიული მიზნების მიღწევა. აღსანიშნავია, რომ გარკვეულ შემთხვევებში გვხვდება დაფიქსირდა მიზნების და მათ მისაღწევად განსაზღვრული ამოცანების შინაარსობრივი იდენტურობა (სტრატეგიული მიზანი - სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაა, ხოლო მის მისაღწევად განსაზღვრული ერთ-ერთი ამოცანაა - სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა; სტრატეგიული მიზანი - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაა, ხოლო მის მისაღწევად განსაზღვრული ამოცანა - ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება). მიზანი კი უნდა იყოს ფართო და შედეგზე ორიენტირებული, ხოლო ამოცანები - კონკრეტული, მოქმედებადი და გაზომვადი (რა კონკრეტული საკითხებია გადასაწყვეტი, ქმედებები, ნაბიჯები, რომელთა საშუალებითაც სკოლამ უნდა მიაღწიოს დასახულ მიზანს).

ასევე, ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის ბრძანებით (თუმცა, აღნიშნული წარმოადგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილებას, სკოლის დირექტორის უფლებამოსილება კი შემოიფარგლება სამეურვეო საბჭოსათვის სტრატეგიული განვითარების გეგმის წარდგენით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობები“, მუხლი 6, პ. 1, „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად). აღნიშნულის გათვალისწინებით დადგინდა ხარვეზი, რის შესახებაც აღინიშნა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა კორესპოდენცია, რომელზე თანდართული დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად, სკოლის დირექტორმა უზრუნველყო განახლებული სტრატეგიული განვითარების გეგმის სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენა და სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა წარდგენილი დოკუმენტი.
ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება.

**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა მოიცავს

2025-2026 სასწავლო წელს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები არ ეფუძნებოდა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. ამასთან, სამოქმედო გეგმა დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის ბრძანებით (რაც წარმოადგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილებას, სკოლის დირექტორის უფლებამოსილება კი შემოიფარგლება სამეურვეო საბჭოსათვის სტრატეგიული განვითარების გეგმის წარდგენით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებების პირობები“, მუხლი 6, პ. 1, „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.
აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, დადგინდა ხარვეზი, რის შესახებაც აღინიშნა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა კორესპოდენცია, რომელზე თანდართული დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად, სკოლის დირექტორმა უზრუნველყო განახლებული სამოქმედო გეგმის სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენა და სამეურვეო საბჭომ დაამტკიცა წარდგენილი დოკუმენტი.
ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება.

**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი სკოლის სამოქმედო გეგმის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობის მიმართულებები არ ემთხვეოდა სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. ამასთან, სამოქმედო გეგმაში არ იყო განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები, აუცილებელი რესურსები და შესრულების ინდიკატორები. **აღნიშნულის გათვალისწინებით, დადგინდა ხარვეზი, რის შესახებაც აისახა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.**

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა კორესპოდენცია, რომელზე თანდართული

დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა დამატებით იმუშავა სამოქმედო გეგმის დოკუმენტზე, განხორციელდა შემუშავებული პროექტის განხილვა უფრო ფართო სასკოლო საზოგადოებასთან და შემუშავებული დოკუმენტი სკოლის დირექტორმა დასამტკიცებლად წარუდგინა სკოლის სამეურვეო საბჭოს. განახლებული სამოქმედო გეგმა შესაბამისობაში მოვიდა სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებთან, ასევე, სამოქმედო გეგმაში განისაზღვრა პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, რესურსები და შესრულების ინდიკატორები. დოკუმენტი დამტკიცდა სკოლის სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 1-ელი აპრილის სხდომაზე (ოქმი №3).
ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება.

**სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 18 სექტემბრის №2-26 ბრძანებით დამტკიცებული „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“;
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვბითარების გეგმა (2025-2032);
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის საქმოქმედო გეგმა (2025-2026 სასწავლო წელი);
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის სხდომის ოქმები;
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 20 ოქტომბრის №2-36 ბრძანება სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 24 აპრილის №2-31 (MES 6 26 0000002-31) ბრძანება „სსიპ ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფში ცვლილების განხორციელების შესახებ“;
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის 2026 წლის 17 მარტის სხდომის ოქმი №4;

- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის 2026 წლის 30 მარტის სხდომის ოქმი №5;
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის გაერთიანებული სხდომის 2026 წლის 17 მარტის სხდომის ოქმი №2;
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის გაერთიანებული სხდომის 2026 წლის 31 მარტის სხდომის ოქმი №3;
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის 2026 წლის 17 მარტის სხდომის ოქმი №3;
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის 2026 წლის 31 მარტის სხდომის ოქმი №4;
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 16 მარტის სხდომის ოქმი №2;
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 1 აპრილის სხდომის ოქმი №3;
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის განახლებული სტრატეგიული განვითარების გეგმის დოკუმენტი (2025-2032);
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის განახლებული სამოქმედო გეგმის დოკუმენტი (2025-2026).

### 1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 18 სექტემბრის №2-26 ბრძანებით დამტკიცებული „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია" მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. კერძოდ, დოკუმენტის მე-12 თავით განსაზღვრულია, რომ სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ერთხელ (სასწავლო წლის ბოლოს). საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების

პერიოდში, 3 წელიწადში ერთხელ. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. ასევე, შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, რომ მეთოდოლოგიურ დოკუმენტში ორი ალტერნატივის სახით არის განსაზღვრული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროცესში გამოსაყენებელი მიდგომები (შესრულების მტკიცებულებების დრაივზე გაზიარება და ანგარიშგების მეთოდი). **ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა:**

- დაწესებულებამ გადახედოს დოკუმენტს და არ განსაზღვროს მონიტორინგისა და შეფასების ორი ალტერნატიული გზა, არამედ დაადგინოს მკაფიო წესი, რომლითაც იხელმძღვანელებს მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი;
- დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი/შეფასება მოახდინოს შუალედურადაც და არა მხოლოდ გეგმიური პერიოდის ამოწურვის შემდეგ.

**სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 18 სექტემბრის №2-26 ბრძანებით დამტკიცებული „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მათ შორის, გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების აუცილებლობა. ავტორიზაციის განაცხადთან ერთად წარმოდგენილი 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის, ასევე, 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება ჯერ-ჯერობით გაკეთებული არ არის. სკოლა გეგმავს, მეთოდოლოგიით გათვალისწინებული ვადების გათვალისწინებით განახორციელოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

როგორც ზემოთ აღინიშნა, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების/მონიტორინგისა და შეფასების პერიოდი ჯერ არ დამდგარა, შესაბამისად, მათი შესრულების შედეგები ჯერ ვერ იქნება საჯარო. მეთოდოლოგიური დოკუმენტი ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გასაჯაროების აუცილებლობას, კერძოდ, უნდა განთავსდეს ვებგვერდზე და გავრცელდეს სხვა საკომუნიკაციო არხებით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

როგორც ზემოთ აღინიშნა, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები ჯერ წარმოდგენილი არ არის და ვერ მოხდება მათი სკოლის შემდგომი განვითარებისთვის გამოყენების შეფასება, ამასთან, სკოლის მენეჯმენტს აქვს ხედვა, რომ გეგმების შესრულების მაჩვენებლები შესაძლებლობას მისცემს, დაგეგმოს სკოლის შემდგომი განვითარება.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 18 სექტემბრის №2-26 ბრძანებით დამტკიცებული „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*
  - ☐ შეესაბამება
  - ☐ მეტწილად შეესაბამება
  - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  - ☒ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
## 3.1. პერსონალის მართვა
### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას განსაზღვრული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც მოიცავს დირექციას, ადმინისტრაციას, საბჭოებს, კათედრებსა და ტექნიკურ პერსონალს. წარმოდგენილია საშტატო ნუსხა, სადაც განსაზღვრულია სამსახურებრივი პოზიციები (დირექტორი, ბუღალტერი, მასწავლებლები, ტექნიკური პერსონალი და სხვ.). შემუშავებულია თანამდებობრივი ინსტრუქციები, სადაც დეტალურადაა გაწერილი კონკრეტული პოზიციების ფუნქციები, მოვალეობები, ანგარიშვალდებულება და უფლებამოსილება (მაგ.: ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი).
ავტორიზაციის პროცესში შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული. სკოლას აქვს საჯარო სკოლებისათვის დამახასიათებელი სტრუქტურა, მისი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები განსაზღვრულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში მოქმედი სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

**სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს როგორც მმართველ, ასევე პედაგოგიურ და მხარდამჭერ ერთეულებს (დირექცია, ადმინისტრაცია, საბჭოები, კათედრები, ტექნიკური პერსონალი), რაც ქმნის ფუნქციურად დიფერენცირებულ სისტემას. ფუნქციების გადანაწილება პოზიციების მიხედვით არის მკაფიო. ფუნქციები დაკავშირებულია კონკრეტულ პოზიციებთან და უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. სტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული, ფინანსური და აკადემიური პროცესების გამიჯვნას, ამცირებს ფუნქციურ გადაფარვას და ქმნის პირობებს სასწავლო პროცესის ორგანიზებული და უწყვეტი განხორციელებისათვის. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და

პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, პასუხისმგებლობების გადანაწილება შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და სკოლის ადამიანურ რესურსს.

**სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის საშტატო ნუსხა;
- სკოლის სტრუქტურა;
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები.

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინდა სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის ციკლს, კადრების მოზიდვისა და შერჩევის პროცესში ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპების გამოყენების აუცილებლობას. უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალის შერჩევის პროცედურა განსაზღვრულია მხოლოდ მასწავლებლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისთვის. სხვა პოზიციების შემთხვევაში, დოკუმენტი განსაზღვრავს, რომ შერჩევა უნდა განხორციელდეს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების გათვალისწინებით, ამასთან, არ არის გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურა/წესი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტი დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის ბრძანებით, რაც შეუსაბამობაში მოდიოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2027 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობებთან", რომლის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალის მართვის

პოლიტიკა სკოლის დირექტორმა დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს სკოლის სამეურვეო საბჭოს. აღნიშნულის გათვალისწინებით, დადგინდა ხარვეზი, რაც დაფიქსირდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში. დამატებით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რჩევა: სკოლამ განსაზღვროს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის შერჩევის პროცედურა.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც ერთვის სკოლის სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 16 მარტის №3 სხდომის ოქმი. ოქმით დგინდება, რომ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცდა სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წარმოდგენილია განახლებული დოკუმენტიც, მასში დაზუსტებულია ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის შერჩევის საკითხებიც. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება.

**სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის ციკლი: დაგეგმვა, შერჩევა, შეფასება, წახალისება და დისციპლინური ღონისძიებები, რაც ქმნის საფუძველს როგორც პრევენციული, ისე ინტერვენციული მართვისთვის. როგორც გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, სკოლა საკუთარ სუსტ მხარედ მიიჩნევს იმას, რომ მასწავლებლების რაოდენობა არ აძლევს შესაძლებლობას, დროებით არმყოფი მასწავლებელი სხვა, იმავე საგნის მასწავლებლით ჩანაცვლდეს ხოლმე. ამასთან, ჯგუფებში მოსწავლეთა ძალიან მცირე რაოდენობა იძლევა საშუალებას, მოგვიანებით სრულად იქნეს ათვისებული სასწავლო მასალა.
**ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა,** სკოლამ აღწეროს, კონკრეტული გაკვეთილის გაცდენის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას.

**სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს, რომ სკოლაში დასაქმება შესაძლებელია კონკურსის საფუძველზე. მათ შორის, მასწავლებლების შერჩევის პროცესში გამოიყენება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ განსაზღვრული მოთხოვნები. დამატებით, სკოლაში შემუშავებულია „დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელიც საშტატო

ნუსხით განსაზღვრული თითოეული პოზიციისათვის განსაზღვრავს აუცილებელ მინიმალურ განათლებასა და კომპეტენციებს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილია სხვადასხვა დროს კონკურსების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულების შინაგანაწესით, პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით და მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე კადრების შერჩევის მიზნით გამოცხადებული საკონკურსო დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულება პერსონალის შერჩევის პროცესში ხელმძღვანელობს საკანონმდებლო მოთხოვნების და საკუთარი რეგულაციების შესაბამისად.
დასაქმებულთა პირად საქმეებში წარმოდგენილია კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები „ნასამართლობის შესახებ“, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ“ და „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ (მათი პოზიციების შესაბამისად). იმ დასაქმებულების შემთხვევაში, რომელთა პირად საქმეშიც არ არის შესაბამისი ცნობები, დასტურდება, რომ სკოლამ მოთხოვნის შესაბამისად 2020 წლის 2 ივნისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მეშვეობით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიაწოდა ინფორმაცია სკოლაში დასაქმებულთა შესახებ, მათი ნასამართლობის გადამოწმების მიზნით და სკოლაში დღეისათვის დასაქმებულ პირებთან დაკავშირებით წარსულში შესაბამისი დანაშაულ(ებ)ის ჩადენის გამო ნასამართლობა არ ფიქსირდება.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის დირექციის, ტექნიკური და დამხმარე პერსონალის (11 პოზიცია) და მასწავლებლების (24 მასწავლებელი) კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს“. სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელს აქვს უფროსი ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები: პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ასევე, საგნობრივი კათედრები, რომლებიც ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობენ კურიკულუმის შემუშავების და სასწავლო აქტივობების განხორციელების პროცესში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. კერძოდ, სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს სკოლაში დასაქმებული პირების წახალისების ფორმებს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან დიდი მოცულობის სამუშაო შესრულებისათვის და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა უფლებამოსილია გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი;
- საკონკურსო დოკუმენტაცია;
- სკოლის საშტატო განრიგი;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- სკოლაში დასაქმებული პერსონალის პირადი საქმეები;
- სკოლის 2020 წლის 2 ივნისის კორესპოდენცია №7 20 00428057.

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.2. პერსონალის განვითარება

### 3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებს შორის ერთ-ერთი სკოლაში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობაა. განსაზღვრულია, რომ დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემა უნდა იყოს სამართლიანი, გამჭვირვალე და ინდივიდუალურ მიდგომაზე ორიენტირებული. პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, სკოლა აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც ემსახურება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას, მომდევნო ეტაპზე კი შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს.

პერსონალის მართვის პოლიტიკაში თანამშრომელთა შეფასების პროცესში გამოსაყენებელი მიდგომები განსაზღვრული იყო მაგალითების სახით და იყო დაზუსტებული, კონკრეტულად რომელი მათგანი უნდა ყოფილიყო გამოყენებული თანამშრომლების შეფასების პროცესში, ასევე, ვინ, როდის და რა პროცედურით შეაფასებდა პერსონალს. აღნიშნულის გათვალისწინებით, დადგინდა ხარვეზი, რის შესახებაც აისახა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელითაც დგინდება, რომ სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა განახლებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და დაზუსტდა სკოლის პერსონალის შეფასების წესი, რის საფუძველზეც შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება.

**სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია, რომ პერსონალის განვითარება უნდა განხორციელდეს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად, ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შესყიდვების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სატრენინგო მომსახურების შესყიდვას. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას სკოლა ორიენტირებულია, თანამშრომლებს შესთავაზოს პროფესიული განვითარების მრავალფეროვანი მეთოდები, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით.

**სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიხედვით, სკოლა პერსონალის პროფესიულ განვითარებას განიხილავს როგორც ორგანიზაციული განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტს, რაც უზრუნველყოფს თანამშრომლების შესაძლებლობების რეალიზებასა და გაძლიერებას. პოლიტიკაში ხაზგასმულია, რომ დაწესებულება ქმნის გარემოს, რომელიც ორიენტირებულია თანამშრომელთა პოტენციალის გამოვლენასა და განვითარებაზე, რაც კარიერული ზრდის ხელშემწყობ საფუძველს წარმოადგენს.
დოკუმენტში ასევე იკვეთება, რომ სკოლა ხელს უწყობს პროფესიული განვითარების პროცესს ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თანამშრომელთა ჩართულობას შეფასებისა და განვითარების პროცესებში. აღნიშნული მიუთითებს, რომ პერსონალის წინსვლა დაკავშირებულია როგორც მათი საქმიანობის შეფასებასთან, ასევე განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებთან.
ამასთან, პოლიტიკაში ასახულია თანამშრომელთა ინტეგრაციის, მხარდაჭერისა და განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისება, რაც ქმნის სისტემურ საფუძველს პერსონალის კარიერული წინსვლისთვის და ორგანიზაციაში პროფესიული ზრდის შესაძლებლობების განვითარებისათვის. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის ჯგუფი, რომლის მუშაობაც ემსახურება მასწავლებელთა კარიერული წინსვლის ხელშეწყობას.

**სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან ორგანიზაციული პროცესების სისტემური მართვით. პოლიტიკაში აღწერილია ორგანიზაციაში შემოსვლის ეტაპი, რომელიც მოიცავს ახალი თანამშრომლების შერჩევის, მიღებისა და სოციალიზაციის

პროცესებს, რაც პირდაპირ უკავშირდება მათ ადაპტაციას სამუშაო გარემოში. თითოეული თანამშრომლის ფუნქციები, პასუხისმგებლობები და როლი მკაფიოდ არის განსაზღვრული სამუშაო აღწერილობების საშუალებით, რაც ამარტივებს მათ ჩართვას ორგანიზაციულ საქმიანობაში და უზრუნველყოფს ეფექტიან ინტეგრაციას.

**სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა მიუთითებს, რომ სკოლა ორიენტირებულია პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და ქმნის გარემოს, სადაც თანამშრომელთა შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება მხარდაჭერილია. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დაწესებულება მუდმივად ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე და ითვალისწინებს ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც ქმნის საფუძველს განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებისთვის. პოლიტიკა ასევე ეფუძნება მონაწილეობის პრინციპს, რაც გულისხმობს თანამშრომელთა ჩართულობას სხვადასხვა პროცესში, მათ შორის შეფასებასა და განვითარების აქტივობებში. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს თანამშრომლების მხრიდან ინიციატივების გამოხატვას და მათ მხარდაჭერას ორგანიზაციის ფარგლებში.

**სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლისადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.

შეფასება:
- ○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- ○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიხედვით, საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას, რომლის ფარგლებში სკოლაში იდენტიფიცირებულია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. დოკუმენტის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს ციკლური პრინციპით და მოიცავდეს რისკების შეფასებას, დაგეგმვას, პროცესების შემოწმებას, შედეგების ანალიზს, უკუკავშირსა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. აღნიშნულმა მიდგომამ უნდა უზრუნველყოს საქმიანობის უწყვეტი შეფასება და გაუმჯობესება.

**სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიხედვით, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები სისტემურად არის იდენტიფიცირებული და დაყოფილია სამ ძირითად კატეგორიად: მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად. აღნიშნული კლასიფიკაცია უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის სტრუქტურირებას და სხვადასხვა მიმართულებების მკაფიო გამიჯვნას.
მმართველობით პროცესებში მოიაზრება სტრატეგიული და წლიური დაგეგმვა, ასევე ხარისხის უზრუნველყოფა; ძირითადი პროცესები მოიცავს კურიკულუმის განვითარებასა და სასწავლო პროცესის ორგანიზებას; ხოლო დამხმარე პროცესები დაკავშირებულია ადმინისტრაციულ, რესურსულ და სერვისულ მიმართულებებთან, როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვა, ფინანსები, უსაფრთხოება და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია, რომ თითოეული პროცესი აღწერილია სტრუქტურირებულ ფორმატში, რომელიც მოიცავს პროცესის მიზანს, ქვეპროცესებს, პასუხისმგებელ პირებსა და განხორციელების მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალედ და ეფექტურად განხორციელებას. ამასთან, უშუალოდ პროცესის აღმწერები ვიზიტის მიმდინარეობისას არ იყო შემუშავებული და დამტკიცებული, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში აისახა ხარვეზი.

არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია თანდართული დოკუმენტაციით. წარმოდგენილია სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის ბრძანება N2-51 „სსიპ ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პირების დამტკიცების შესახებ“, ასევე, წარმოდგენილია სკოლის დირექტორის 2026 წლის 27 აპრილის N2-32 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმა“ (მოიცავს 2025-2026 სასწავლო წლის მეორე სემესტრის ფარგლებში შესაფასებელ სამ პროცესს). ამასთან, არ არის წარმოდგენილი სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების უშუალოდ აღმწერი დოკუმენტი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული პოზიცია არ შეცვლილა.

**სტანდარტის ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

### 3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

„სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“ განსაზღვრავს საჩივრის/განცხადების წარდგენის ფორმებს, მათი რეგისტრაციის პროცედურას და სავალდებულო რეკვიზიტებს. საჩივრებისა და განცხადებების განხილვა უნდა განხორციელდეს ობიექტურობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით, განსაზღვრული ვადების ფარგლებში და კომპეტენტური პირის/სტრუქტურული ერთეულის მიერ. პროცესი მოიცავს გადაწყვეტილების მიღებას, დასაბუთებული პასუხის გაცემას და საჭიროების შემთხვევაში გასაჩივრების წესის განმარტებას.

დამატებით, სკოლაში განსაზღვრულია გასაჩივრების მექანიზმები სხვადასხვა შემთხვევისთვის, მათ შორის დისციპლინური გადაწყვეტილებების, კონკურსის შედეგებისა და სასკოლო შეფასებების გასაჩივრების პროცედურები. ასევე, გაწერილია

სამეურვეო საბჭოსა და სპეციალური კომისიების როლი, რაც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვის სისტემურ ფუნქციონირებას.
**ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა,** სკოლამ გაითვალისწინოს პროცესში არასრულწლოვნების მონაწილეობის სპეციფიკა და „ბავშვის უფლებათა კოდექსის" შესაბამისად, მეტად მოახდინოს პროცედურების მორგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე.

**სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში პერსონალისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვის მექანიზმები განსაზღვრულია როგორც უფლებებისა და თავისუფლებების მარეგულირებელ დოკუმენტში, ასევე საჩივრების განხილვის სისტემაში. დოკუმენტი ადგენს, რომ ყველა სუბიექტი სარგებლობს თანაბარი უფლებებით, დაცულია დისკრიმინაციისგან და მათი უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს კანონიერად დასაბუთებული, პროპორციული და განხორციელდეს სამართლიანი პროცედურით.
სკოლა ასევე ვალდებულია, უზრუნველყოს უფლებების დარღვევის პრევენცია, რეაგირება და აღკვეთა, მათ შორის უსაფრთხო გარემოს შექმნით და უფლებების დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებით. უზრუნველყოფილია მონაწილეობის და საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, რაც წარმოადგენს უფლებების დაცვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.
ამასთან, სკოლაში მოქმედებს საჩივრების წარდგენისა და განხილვის პროცედურები, რაც პერსონალსა და მშობლებს აძლევს შესაძლებლობას, დაიცვან საკუთარი უფლებები, გაასაჩივრონ გადაწყვეტილებები და მიიღონ დასაბუთებული პასუხი განსაზღვრულ ვადებში.
სკოლის პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც გაწერილია მხარეთა უფლებები.

**სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლაში მოსწავლის, მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის/ და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები;
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;

- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის ხარისხის განვითარებისა და აპროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- სკოლის პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სკოლის მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

### 3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხორციელდება მშობელთა კრებებზე, სკოლის ვებგვერდის მეშვეობით. ასევე, სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირება, უკუკავშირი და რეაგირება უზრუნველყოფილია მართვის კოლეგიურ ორგანოებში მათი ჩართულობით, რაც დასტურდება მათი მუშაობის ამსახველი ოქმებით და აგრეთვე ინტერვიუებით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, ასევე, უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სამუშაო ჯგუფებში ჩართულობა, რაც დასტურდება შესაბამისი ორგანოების სხდომის ოქმებით და სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი;
- სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- დირექტორის ბრძანება სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი ჯგუფის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

### 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
### 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლას არ ემსახურება მანდატური, ამასთან, სკოლის დირეტქორის ბრძანებით განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი, რომელიც პასუხისმგებელია სასკოლო დროს სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე. შენობის ეზო შემოსაზღვრულია ღობით, კონტროლდება სკოლის ტერიტორიაზე შესვლა, მოქმედებს ვიზიტორების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალი.

სკოლაში დასაქმებულია 3 დარაჯი და 2 დამლაგებელი. სკოლას შემუშავებული აქვს და უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული აქვს საგანგებო მართვის გეგმა. წარმოდგენილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ მიმართვა, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის მიერ გაცემული დასკვნა, რომელიც სრულიად დადებითია და ადასტურებს, რომ შენობა-ნაგებობა ექსპლუატაციისათვის ვარგისია.

სკოლამ წარმოადგინა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №B29/02 (17/02/2026) შესყიდვის სახე - საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან, კანონიერებასა და წესრიგთან დაკავშირებული მომსახურებები. ხელშეკრულებით დასტურდება, რომ სკოლამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი - საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსაგან შეისყიდა მომსახურება, რომელიც ითვალისწინებს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას და შესაბამისი წინადადებების მომზადებას.

ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ **შენობა-ნაგებობაში დამონტაჟებულია ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა, თუმცა, სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. ამასთან, მონიტორი განთავსებულია ისტ-ის ოთახში, რის გამოც ვერ ხდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის მეთვალყურეობა უწყვეტ რეჟიმში.** შესაბამისად, დაცული არ არის საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის N101 დადგენილების მოთხოვნები „ავტომატური ფოტო-და ვიდეოტექნიკის მახასიათებლებისა და მათი ექსპლუატაციის წესის, აგრეთვე იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა გარე პერიმეტრზე სავალდებულოა ავტომატური ფოტო-ან/და ვიდეოტექნიკის განთავსება/დამონტაჟების“ შესახებ და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანება, რის საფუძველზეც დადგინდა ხარვეზი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, აღნიშნულის ინდიკატორის ნაწილში ხარვეზიანია, მასში შეუსაბამობის სახით აღნიშნულია, რომ ნაგებობაში დამონტაჟებული ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა, სრულად ვერ უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს, ასევე, ვერ ხდება პერიმეტრის უწყვეტ რეჟიმში მეთვალყურეობა. საკითხის მოწესრიგების მიზნით დაგეგმილი აქტივობის დასრულების ვადად განსაზღვრულია 2027 წლის აპრილის თვე, თუმცა, მტკიცებულებების ნაწილში მითითებული და გეგმაზე თანდართული შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულებით ვერ მოხდება შეუსაბამობის აღმოფხვრა

(ხელშეკრულების საგანი არ უკავშირდება დადგენილ ხარვეზს). შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება არ იცვლება.

**ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, რომლის ინვენტარი და აღჭურვილობა შეესაბამება „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრულ პირობებს. სკოლაში დასაქმებულია ექთანი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ამავე ბრძანებით განსაზღვრული წესით. ექთნის პირადი საქმის გადამოწმების შედეგად დგინდება მისი შესაბამისობა კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ასევე, გადამოწმდა და დადასტურდა სპეციალური სააღრიცხვო ფორმებისა და ჟურნალების დადგენილი წესის მიხედვით წარმოება.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“. სკოლას არ ემსახურება მანდატური, ამასთან, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი და სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა მცირეკონტინგენტიანია და საშტატო განრიგით გათვალისწინებული არ არის ფსიქოლოგის შტატი. თუმცა, სკოლის პერსონალთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სკოლაში შექმნილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო. აღნიშნულს ხელს უწყობს სკოლის მოსწავლეთა მცირე კონტინგენტი და სკოლაში შექმნილი დადებითი ატმოსფერო. სადამრიგებლო პროგრამები მიმართულია სკოლის მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას ჰყავს ორი დამლაგებელი, შესყიდული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დასაცავად საჭირო ინვენტარი. სკოლის დერეფნებში დამონტაჟებულია სადეზინფექციო ხსნარები. სკოლის შენობაში განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი, ხოლო ეზოში, შენობისაგან განცალკევებულად განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის. შენობა უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ვიზიტის განხორციელების პერიოდში ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან სკოლას განესაზღვრა პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლა იყენებს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს, უზრუნველყოფილია ანტივირუსული პროგრამებით, გამოიყენება ლიცენზირებული კომპიუტერული პროგრამები. მატერიალური სახით არსებული დოკუმენტაცია ინახება დირექტორის კაბინეტში და ხელმისაწვდომია მხოლოდ საქმისმწარმოებლისა და დირექტორისათვის.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც წლის განმავლობაში, კანონმდებლობის შესაბამისად განიხილავს საკითხებს, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან და უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული. საბჭო მსჯელობს ღონისძიებებზე, პრევენციულ ნაბიჯებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებას, ისმენს და განიხილავს დირექტორის მოხსენებებს აღნიშნულ საკითხებზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
ინვენტარიზაციის აქტი;

- სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;
- სკოლის დამლაგებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №B29/02 (17/02/2026, შესყიდვის სახე - საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან, კანონიერებასა და წესრიგთან დაკავშირებული მომსახურებები);
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- მრჩეველთა საბჭოს მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

## 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

### 3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლას მართლზომიერ მფლობელობაში აქვს 23837 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, რომლის ფართობიც შეადგენს 1103.6 კვ.მ-ს. შენობა ორსართულიანია, მასში განთავსებულია 12 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, ისტ-ის ოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კაბინეტი, სამასწავლებლო და პერსონალის სამუშაო სხვა სივრცეები, ასევე, სპორტული დარბაზი. სკოლის ეზოში არის სპორტული მოედანი (არ აქვს შემოღობვა და ინვენტარი, თუმცა, იძლევა სპორტული თამაშებისა და აქტივობების განხორციელების საშუალებას). გარდა აღნიშნული ფართისა, სკოლას დამატებით ბალანსზე აქვს მიწის ნაკვეთი, 1101 კვ.მ.-ის ფართობის და მესამე მიწის ნაკვეთი, 4955 კვ.მ. ფართობის, რომელზეც განთავსებულია სკოლის მეორე შენობა-ნაგებობა. აღნიშნული შენობა-ნაგებობა მითითებულია საავტორიზაციო განაცხადშიც, თუმცა, ვიზიტის განმავლობაში დაწესებულებამ წარმოადგინა კორესპოდენცია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელზე. კორესპოდენციაში აღნიშნულია, რომ დაწესებულება არ გეგმავს აღნიშნულ მისამართზე სასწავლო პროცესის განხორციელებას და ითხოვს, ავტორიზაციის პროცესში მხედველობაში არ იქნეს მიღებული მეორე შენობა-ნაგებობა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შესაბამისი ფართის დათვალიერება და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება არ მომხდარა.
ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში სკოლას ინვენტარიზაციის აქტით დაუდასტურდა მოსწავლეებისათვის განკუთვნილი 103 მერხი და სკამი. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ 2026 წლის 29 აპრილს ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსისათვის გაგზავნილი კორესპოდენცია №MES 9 26 0000503143, რომლითაც დგინდება, რომ დაწესებულება მიუთითებს დამატებით სასკოლო მერხებითა და სკამებით საჭიროებაზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის შენობაში და ეზოში არსებული რეკრეაციული საერთო გამოყენების სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტრული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. სასკოლო საზოგადოებისათვის თავისუფლად ხელმისაწვდომია კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-29-ით (19/09/2025 წ.) დამტკიცებულია სკოლის ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდების პირობებს. სკოლას განსაზღვრული აქვს ბიბლიოთეკარის სამუშაო მოვალეობები, მკითხველის უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებით რეგულირებულია მკითხველად რეგისტრაციის პირობები, საბიბლიოთეკო რესურსების გატანის წესი და პირობები და ა.შ.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის შენობის პირველ სართულზე მოწყობილია რესურსოთახი, ასევე, პირველ სართულზე ადაპტირებულია სველი წერტილი. ამასთან, სკოლაში შესასვლელად საჭიროა პანდუსი, რაც არ არის მოწყობილი. სკოლას შემუშავებული აქვს პროექტი, აქვს შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა და მიმდინარე წლის დასრულებამდე გეგმავს შენობაში შესასვლელი პანდუსის მოწყობას. ავტორიზაციის განაცხადით წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და სკოლის წარმომადგენლების განმარტება სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა და სარწმუნოდ მიიჩნევს, რომ განსაზღვრულ ვადებში მოხდება პანდუსის მონტაჟი.

**ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღინიშნა, რომ მხოლოდ პანდუსი ვერ უზრუნველყოფს შენობის სრულ ადაპტაციას სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის, რადგან შენობის მეორე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, დირექტორის კაბინეტი და სხვა აუცილებელი სივრცეები და მიზანშეწონილია, სკოლამ იზრუნოს შენობის ისეთ ადაპტაციაზე, რომ საჭიროების შემთხვევაში, ეტლით მოსარგებლე პირს ჰქონდეს ყველა აუცილებელ სივრცეზე წვდომის შესაძლებლობა.**

აღნიშნულის გათვალისწინებით, დადგინდა ხარვეზი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება ნაწილობრივ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას და 2028 წლის აპრილის ჩათვლით გეგმავს ინდიკატორთან სრულად შესაბამისობაში მოყვანას. გეგმის დანართი №2-ის სახით წარმოდგენილია რეგიონული განვითარების სააგენტოსათვის მიმართვა (დაფიქსირებულია, რომ სკოლა არ არის უზრუნველყოფილი მეორე სართულზე ასასვლელი ლიფტით), ასევე, წარმოდგენილია დანართი №3 - გამოცხადებული ტენდერის დოკუმენტაცია სკოლის შესასვლელში პანდუსის მოწყობასთან დაკავშირებით.
შესაბამისობის გეგმის და თანდართული მტკიცებულებების შეფასების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა შეცვალა დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება და **გაიცა რეკომენდაცია:**
**სკოლის შენობა-ნაგებობა, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ლიფტით.**

**ინდიკატორთან ნაწილობრივ შესაბამისია.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ტერიტორიაზე ეწყობა სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეები გამოირჩევიან განსაკუთრებული ინიციატივებით და აქტიურობით ამ მიმართულებით, იკრიბებიან, გეგმავენ სკოლის გარეთ სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ უფროსკლასელები ცდილობენ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის დაგეგმონ პროექტები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
- ინვენტარიზაციის აქტი;
- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის პანდუსის მოწყობის პროექტი და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა;
- შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**
**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით. დასკვნის პროექტში აღინიშნა, რომ სკოლის მფლობელობაში არის 7 კომპიუტერი, მათ შორის, 3 ლეპტოპი და 4 პერსონალური კომპიუტერი. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლას გადაეცემული აქვს მეორადი კომპიუტერები და სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა საჭიროებს განახლებას. კომპიუტერები შეყვანილია ამორტიზებულ ძირითად აქტივებში, აღსანიშნავია, რომ სკოლის ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები ახალი კომპიუტერების შესაძენად.
ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, დადგინდა ხარვეზი, რის შესახებაც აისახა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის, წარმოდგენილია 2026 წლის 28 აპრილს სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლასა და შპს „იუჯითის" შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დგინდება, რომ დაწესებულებას დამატებით გადაეცა პერსონალური კომპიუტერების კომოპლექტი.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა შეცვალა დასკვნის პროექტში გათვალისწინებული შეფასება.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს ტექნოლოგიების კაბინეტით სარგებლობის წესი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2026 წლის შესყიდვების გეგმა;
- ინვენტარიზაციის აქტი;
- ტექნოლოგიების კაბინეტით სარგებლობის წესი.

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლის საქმისწარმოების წესი არეგულირებს ორგანიზაციაში დოკუმენტბრუნვის საკითხებს, განსაზღვრულია დოკუმენტაციის ტიპები, ჟურნალების წარმოების საკითხები, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის განხორციელების შესაძლებლობა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება Eflow და eSchool-ის პროგრამები, შემოსული და გასული დოკუმენტაცია, ასევე, დირექტორის ბრძანებების გამოცემა და აღრიცხვა წარმოებს ელექტრონულად. სკოლა იყენებს Microsoft 365 -ის პლატფორმას, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისათვის, მშობლისა და მასწავლებლისათვის შექმნილია ანგარიშები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. დირექცია დროულად ახდენს Eschool-ის ბაზაში საჭირო ინფორმაციის განახლებას. გადამოწმდა მოსწავლის, მშობლების, პერსონალის შესახებ ასახული მონაცემები და დადასტურდა მათი შესაბამისობა ზოგადი განათლების მართვის სისტემის ადმინისტრირების წესებთან.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა იცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებს ანგარიშების, უკუკავშირის და საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან თანამშრომლობის დროს, რასაც მოწმობს დირექტორის ანგარიში, საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ მიღებულ დავალებებზე საჭირო ვადებში რეაგირება.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- სკოლის დირექტორის წლიური ანგარიში;
- სკოლის გასული კორესპოდენცია.

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს ვებგვერდის - skolebi.emis.ge მეშვეობით, ასევე, სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა ცენტრალურ შესასვლელში, სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები, ეწყობა მშობელთა კრებები და ინდივიდუალური შეხვედრები. სკოლას აქვს სოციალური ქსელიც (facebook), ამრიგად უზრუნველყოფილია საზოგადოებასთან ინფორმაციის გაზიარება და კომუნიკაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გადამოწმდა skolebi.emis.ge-ზე, ასევე, სოციალურ ქსელებში განთავსებული ინფორმაცია. განთავსებული ინფორმაცია სანდოა და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა უკუკავშირს იღებს მშობელთა კრებების და სოციალური ქსელის საშუალებით, ასევე, წარმოდგენილია მშობლებთან საერთო კრებების/შეხვედრების ამსახველი დოკუმენტაცია, მშობელთა კრებებზე ხდება მოსწავლეთა მშობლების მოსაზრებების მოსმენა. სკოლის წარმომადგენლობა უკუკავშირის შედეგებს იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს გვერდი skolebi.emis.ge ვებგვერდზე. სკოლის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე, სწავლება დაწესებულებაში ხორციელდება ასევე ქართულ ენაზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

ვებ გვერდზე - skolebi.emis.ge სკოლის გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში და საკონტაქტო ინფორმაცია. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები დღეისათვის წარმოდგენილი არ არის, რადგან ჯერ არ დამდგარა შესაბამისი საანგარიშო პერიოდი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის გვერდი ვებგვერდზე: skolebi.emis.ge;
- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook).

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.7. ფინანსური რესურსები
### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები და ხარჯები. სკოლა ფინანსურად მდგრადია. ბიუჯეტის დამტკიცებაში მონაწილეობას იღებენ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები, წარმოდგენილნი სამეურვეო საბჭოში. სკოლას დამტკიცებული აქვს შესყიდვების წლიური გეგმა. საჭიროების შემთხვევაში, ხდება ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმის კორექტირება.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

ბიუჯეტის დაგეგმვაში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოება, თანხების განკარგვა ხდება ბიუჯეტის მიხედვით, რომელსაც მონიტორინგს უწევს სამეურვეო საბჭო. ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა ხდება სამეურვეო საბჭოს თანხმობის შემთხვევაში. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს აბარებს ფინანსურ ანგარიშს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- სკოლის მიმდინარე ბიუჯეტი.

შეფასება:
○ *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**
**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**
**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

დაწესებულების შინაგანაწესში განსაზღვრულია დისციპლინური წარმოების წესი, შექმნილია დისციპლინური კომიტეტი. სკოლის მიერ შემუშავებულ რეგულაციებში განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, გასაჩივრების მექანიზმები. მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებსა და სკოლას შორის გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებიც ემსახურება მოსწავლის ინტერესების დაცვას და სასწავლო მიზნების მიღწევის ხელშეწყობას. სკოლაში ასევე შემუშავებულია საჩივრისა და განცხადების განხილვის წესი, რომელიც განსაზღვრავს უფლების დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრების წესს და პირობებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის: სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ და მისი საჯაროობა უზრუნველყოფილია, სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, ასევე ცხადი ხდება, რომ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით მშობელი ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს. გარდა ამისა, დამრიგებლის მოვალეობები ითვალისწინებს მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის სკოლის შინაგანაწესის გაცნობას. შინაგანაწესი, ასევე საჩივრისა და განცხადების განხილვის წესი აგანთავსებულია სკოლის გვერდზე skolebi.emis.ge-ზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

პროცესში გადამოწმდა მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და დადასტურდა მათი კანონმდებლობასთან შესაბამისობა, განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება-მოვალეობანი, პასუხისმგებლობები, მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, ასევე სხვა პირობები. ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ მხარეებს ევალებათ სკოლის შინაგანაწესის დაცვა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
- სკოლის შინაგანაწესი;
- ვებგვერდი: skolebi.emis.ge;
- მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სკოლაში საჩივრისა და განცხადების განხილვის წესი.

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომელიც მკაფიოა, მასში გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების პროცედურებს. მოსწავლის ჩარიცხვა მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე ხორციელდება. პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაცია ხდება ელექტრონულად. მოსწავლის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის დროს სკოლა ეყრდნობა არსებულ საკანონმდებლო მექანიზმებს და შიდასასკოლო რეგულაციებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა მოსწავლის მშობლებს / კანონიერ წარმომადგენლებს სასწავლო წლის დასაწყისში აცნობს ინფორმაციას შინაგანაწესის შესახებ, რასაც ადასტურებს მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიც. მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე skolebi.emis.ge. მოსწავლის მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლისათვის ინფორმაციის გაზიარების მიზნით, ასევე, მათი მოსაზრების გაგების მიზნით, სკოლაში პერიოდულად ტარდება მშობელთა კრებები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია აქტივობების, სერვისების, პროგრამების, რესურსების შესახებ გამჭვირვალე და არადისკრიმინაციულია. სკოლის ხელმძღვანელობა სიახლეების გავრცელებისათვის იყენებს სკოლის შემოსასვლელში არსებულ საინფორმაციო დაფას. მოსწავლეებს და მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებს სიახლეებს აცნობენ დამრიგებლები. ინფორმაცია პერიოდულად ვრცელდება სკოლის სოციალური გვერდის (facebook) მეშვეობით, ასევე, skolebi.emis.ge-ზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
- Skolebi.emis.ge-ზე სკოლის გვერდი;
- მოსწავლეთა პირადი საქმეები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**
**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს ადაპტაციის პრინციპებსა და განხორციელების პროცედურებს. მექანიზმი არ შემოიფარგლება მხოლოდ ახალჩარიცხული მოსწავლეებით. იგი ასევე მოიცავს მობილობით გადმოსულ მოსწავლეებს, ენობრივი ბარიერის მქონე მოსწავლეებს და სხვა მიზეზით ადაპტაციის სირთულის მქონე მოსწავლეებს.
სკოლამ ასევე წარმოადგინა ტრანზიციის დებულება, რომელშიც გაწერილია კონკრეტული ნაბიჯები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ინტეგრაციას. კერძოდ: ინფორმაციის მიწოდება კლასის დამრიგებლისთვის (მოსწავლის პირადი საქმისა და წინა გამოცდილების შესახებ), ახალი მოსწავლის წარდგენა კლასში და თანაკლასელებთან ინტეგრაციის ხელშეწყობა, დამრიგებლის მიერ რეგულარული კომუნიკაცია მოსწავლესთან და მშობელთან, მოსწავლის ინფორმირება სკოლის წესების, უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ.

ასევე, გათვალისწინებულია პირველკლასელთა წინასწარი მომზადება (ბაღებთან თანამშრომლობა), საფეხურებს შორის ტრანზიცია და სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერა. ადაპტაციის წესში დეტალურად არის განსაზღვრული ფაქტორები, რომლებიც შეიძლება აფერხებდეს მოსწავლის ადაპტაციას, მათ შორის: ინდივიდუალური და ფსიქო-სოციალური თავისებურებები, სასკოლო მზაობა, სასწავლო დატვირთვა, ენობრივი და კულტურული ბარიერები, მშობლის ჩართულობა და ა.შ

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სსიპ - ზაზა ჩხაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 12 იანვრის N 2-08 ბრძანებით დამტკიცებულია ტრანზიციის დებულება, რომელიც განსაზღვრავს სკოლის მიერ ახალი მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში გასათვალისწინებელ მიდომებს, ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეების ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მხარდაჭერას დამრიგებლის სისტემური ჩართულობით, რომელიც მუდმივად აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის პროგრესზე, თანამშრომლობს საგნის მასწავლებლებთან და ახორციელებს მონიტორინგს სასწავლო პროცესში ჩართულობაზე; გამოვლენილი სირთულეების შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამის რეაგირებას, მათ შორის რემედიაციის ინიცირებას, ასევე ხელს უწყობს პრობლემების გადაჭრას ინდივიდუალური მუშაობისა და კონსულტაციის გზით, პარალელურად უზრუნველყოფს ეფექტურ კომუნიკაციას მშობლებთან და აცნობს მათ მოსწავლის აკადემიურ მდგომარეობას, რაც ერთობლივად ქმნის მხარდაჭერის გარემოს, რომელიც მიმართულია მოსწავლის საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მისი სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე.
მოსწავლეებს, ჯგუფებში მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით აქვთ კონსულტაციისა და მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობა, მათი საჭიროებების შესაბამისად. უზრუნველყოფილია ინდივიდუალური მუშაობა და კონსულტირება, პრაქტიკულად სრული სასწავლო პროცესის განმავლობაში. ასევე, სკოლას გათვალისწინებული აქვს სადამრიგებლო საათი, დამრიგებლებს ვალდებულება აქვთ, მოსწავლეებს მხარი დაუჭირონ სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში, მშობლებთან

ჰქონდეთ კომუნიკაცია მოსწავლეების მიღწევებისა და საჭიროებების შესახებ და ა.შ. მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მხარდაჭერით კმაყოფილები არიან.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომელიც ითვალისწინებს შემოსული განცხადებების რეგისტრაციის საკითხებს. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია სხვადასხვა გარემოებების არსებობის შემთხვევაში განცხადებით, საჩივრით მიმართვის შესაძლებლობა. დოკუმენტი ცნობილია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის.
მოსწავლეს შეუძლია მიმართოს სკოლას განცხადებით ან საჩივრით სხვადასხვა არხის გამოყენებით (კანცელარია, ელექტრონული სისტემა და სხვა), რაც დაუყოვნებლივ რეგისტრირდება და განიხილება კომპეტენტური პირის/სტრუქტურის მიერ ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით, განსაზღვრულ ვადებში (განცხადება – ძირითადად 10 სამუშაო დღე, ინდივიდუალური აქტები – 15 დღე, საჩივარი – 1 თვე), ასევე უზრუნველყოფილია გადაწყვეტილებების დასაბუთება, დაინტერესებული პირების ინფორმირება და გასაჩივრების მექანიზმების ხელმისაწვდომობა, რაც ერთობლივად ქმნის ეფექტურ სისტემას, რომელიც მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას დროულად და სრულფასოვნად განახორციელოს კანონით გათვალისწინებული უფლებები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის გამორჩეულად ძლიერ მხარეს წარმოადგენს მოსწავლეთა აქტივობები სხვადასხვა სახის პროექტებსა და კონკურსებში. ასევე, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერაში, რაც დასტურდება მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგებით და სხვადასხვა პროექტებსა და აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობის მაჩვენებლებით.

სკოლა უზრუნველყოფს დამატებითი და არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას სასკოლო გარემოში მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი აქტივობების ორგანიზებით, რომელთა დაგეგმვასა და განხორციელებაში ჩართული არიან როგორც დამრიგებლები, ისე საგნის მასწავლებლები და სკოლის

ადმინისტრაცია. სკოლა ქმნის თანამშრომლობით და შემოქმედებით გარემოს, სადაც მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან პროექტებში, კლუბურ, სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას, გამოავლინონ ინიციატივა და განივითარონ სხვადასხვა უნარები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლის მოსწავლეებთან, მშობლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეებს და მშობლებს შესაძლებლობა აქვთ, სკოლის დირექციას, მასწავლებლებს წარუდგინონ მოსაზრებები მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების თაობაზე. პერიოდულად იგეგმება მშობლებთან შეხვედრები/მშობელთა კრებები, რომელიც ასეთი დისკუსიის წახალისებას ემსახურება. თავისუფალ კომუნიკაციას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ სკოლა მცირეკონტინგენტიანია, რაც ინდივიდუალურად კომუნიკაციის შეუფერხებლად წარმართვის საშუალებას იძლევა. მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დადებითად აფასებენ სკოლის მიერ გაწეულ მომსახურებას, არ გამოკვეთილა კონკრეტული საკითხი/პრობლემა, რომლის გადაჭრის სურვილითაც მიუმართავთ სკოლისათვის. ვიზიტის ფარგლებში ასევე წარმოდგენილია მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვის ფორმები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ტრანზიციის დებულება;
- მოსწავლეთა ჩართულობით განხორციელებული პროექტები;
- მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვის ფორმები.

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერულ დაგეგმვასა და პროფესიულ ორიენტაციას ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობა სხვადასხვა სახის პროექტებში. პედაგოგები ახორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზების მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად იკვეთება მათი მკაფიო ინტერესი შერჩეულ სპეციალობებთან დაკავშირებით, საკუთარი რესურსის და შესაძლებლობების გათვალისწინებით დასაბუთებულად მსჯელობენ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა სააღმზრდელო საათს იყენებს იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიაწოდონ ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში მე-9, მე-10 და მე-11 კლასის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლაში არის პოზიტიური, თანამშრომლობაზე ორიენტირებული ატმოსფერო. სკოლა მცირეკონტინგენტიანია და სკოლის პერსონალს მოსწავლეებთან და მშობლებთან აქვთ ხშირი კომუნიკაციის შესაძლებლობა. სკოლა უზრუნველყოფს მათ გამოკითხვას მოსაზრებების შესწავლის მიზნით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

- მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვის ფორმები.

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. ჯგუფის შეხვედრაზე განიხილება სსსმ მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. ბავშვის ემოციური, გონებრივი, ფიზიკური, კოგნიტური, ფსიქოსოციალური თავისებურებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ისგ ჯგუფის სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბება საჭიროებისამებრ. ხორციელდება ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი, რა დროსაც ფასდება მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი, შედეგები, გამოწვევები, სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა. თუ გამოვლინდება საჭიროება, რომ ინდივიდუალურ გეგმაში შევიდეს გარკვეული სახის ცვლილება, სიტუაციურად, ამ შემთხვევაში ისგ ჯგუფი იკრიბება დამატებით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში თითოეული სსსმ მოსწავლისთვის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდგეგმების შემუშავებას და განხორციელების ხელშეწყობას. სკოლას აქვს რესურსოთახი, შესაბამისი რესურსებით. ავტორიზაციის განაცხადის გაკეთებისას სკოლას არ ჰყავდა სპეციალური მასწავლებელი, თუმცა, ვიზიტის განხორციელებამდე უზრუნველყო პოზიციაზე კონკურსის წესით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის შერჩევა. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელსაც მონიტორინგს უწევს სასწავლო წლის დასაწყისში შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია და წესი;
- ისგ ჯგუფის ოქმები.

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქვს ნებაყოფლობითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების სახით სასკოლო წრეები (მკითვხელთა წრე, ფოლკლორის წრე, სპორტული წრე ბადმინტონში, ქარგვის წრე).

**შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა უზრუნველყოფს დამატებითი, არასავალდებულო მომსახურებების (მკითხველთა წრე, ქარგვის წრე, სპორტული წრე ბადმინტონში, ფოლკლორის წრე) შეთავაზებას ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს მოსწავლეთა თავისუფალ არჩევანსა და ჩართულობას მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების თანხმობით. შეთავაზებული

წრეები ემსახურება მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას - როგორც აკადემიური, ისე შემოქმედებითი და ფიზიკური უნარების გაძლიერებას.

**შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

შემოთავაზებული წრეები ორგანიზებულია უსაფრთხო გარემოში და მიმართულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვასა და მისი ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობაზე.

**შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება
I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>**ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა** | **☐ შეესაბამება**<br>**☒ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>**ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა** | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

### 2. სასკოლო კურიკულუმი
### 2.1. კურიკულუმის შემუშავება
### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის №2-57 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა ძირითადი ჯგუფი: მასწავლებლები, დირექცია, მოსწავლეები და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლები. დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი, რომ მასწავლებლებსა და დირექციას მკაფიოდ გადანაწილებული ფუნქციები აქვთ, ხოლო გამოწვევები განიხილება მოსწავლეებთან და მათ კანონიერი წარმომადგენლებთან, რაც უზრუნველყოფს მათი შეხედულებებისა და ინტერესების გათვალისწინებას. დოკუმენტში ასევე ხაზგასმულია, რომ კურიკულუმის განვითარება ეფუძნება სკოლის პრიორიტეტებს და უზრუნველყოფს კავშირს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმის წარმატებით დანერგვა დამოკიდებულია იმაზე, იზიარებენ თუ არა მის შინაარსსა და მონაწილეობენ თუ არა მის განვითარებაში სასკოლო საზოგადოების წევრები. დოკუმენტიდან ჩანს, რომ პრინციპი, რომელსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარებას, მუდმივმოქმედი პროცესია.
პედაგოგები გასაუბრებისას აანალიზებდნენ კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავების სტრუქტურასა და პრინციპებს. კურიკულუმის შემუშავება ხდება საგნობრივი კათედრების მიერ, სასკოლო სასწავლო პროგრამების გათვალისწინებით. ისინი საუბრობდნენ მიმდინარე სასწავლო წლის მიღწევებსა თუ გამოწვევებზე, რომლებსაც მომდევნო სასწავლო წლისთვის გააუმჯობესებენ.
დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში რამდენიმე ასპექტი მიუთითებს იმაზე, რომ გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კერძოდ, კურიკულუმი, როგორც დოკუმენტი, წარმოადგენს გზას, რომელსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის. ის, ასევე, ასახავს სკოლის პრიორიტეტებს. დოკუმენტი ხაზს უსვამს იმასაც, რომ კურიკულუმი წარმატებით ინერგება მაშინ, როცა მის შინაარსს იზიარებენ და მის განვითარებაში მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები.
კათედრების წევრების გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით ხდება სასკოლო სასწავლო გეგმისა და ფორმალური თუ არაფორმალური განათლების ღონისძიებების დაგეგმვას. მოსწავლეთა და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან საჭიროებებისა და ინტერესების დასადგენად სკოლას აქვს მზაობა ჩაატაროს გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით მოახდინონ ცვლილებების შეტანა სასკოლო სასწავლო გეგმაში.
აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგებზე და მშობელთა უკუკავშირებზე დაყრდნობით სკოლა განსაზღვრავს პრიორიტეტულ მიმართულებებს. შესაბამისად შეაქვს ცვლილებები სასკოლო კურიკულუმში. მოსწავლეთა ინტერესებისა და დიფერენცირებული მიდგომების საფუძველზე მასწავლებლები ქმნიან და ავითარებენ სასკოლო კურიკულუმს, რითაც სასკოლო კლიმატი ხდება მეტად უსაფრთხო და პოზიტიური.
საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია თითოეული მოსწავლის ინტერესები. წარმოდგენილი კათედრის სხდომის ოქმებისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმის შექმნის პროცესში პედაგოგები გუნდურად მუშაობენ. ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ კათედრის წევრებთან და ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებასა და რეკომენდაციებს, რაც, თავის მხრივ, გასული წლების განმავლობაში განხორციელებულ პრაქტიკულ საქმიანობას ეყრდნობა. სკოლაში კურიკულუმის შემუშავების პროცესი თანამშრომლობის პრინციპზეა დაფუძნებული. იგი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, რაც სრულ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიითა და კათედრების მიერ წარმოდგენილი ოქმებით დგინდება, რომ კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებისა და დირექციის ურთიერთთანამშრომლობითა და

განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობებიდან გამოკვეთილი მიგნებების გათვალისწინებით. კათედრის წევრები ერთობლივად აანალიზებენ მიღწეულ შედეგებსა და განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამებსა და მათი განხორციელებისთვის საჭირო სათანადო აქტივობებს, თანხმდებიან სტანდარტით განსაზღვრულ თემის/თემატური ბლოკის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებსა და დავალებებზე, რა ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ შემოქმედებით დავალებებზე მუშაობის პროცესში და ერთობლივად ქმნიან შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს.
სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა, რომ სასწავლო წლის ბოლოს ხორციელდება პროცესის შეჯამება და გამოკვეთილი არსებული საჭიროებების გათვალისწინებით ახალი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ახალი საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრების ყველა წევრი და თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის დახვეწა.
კათედრებზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, რაც საშუალებას იძლევა მასწავლებლებმა ერთმანეთს გაუზიარონ მოსწავლეთა მიღწევები, საჭიროებები, ინტერესები, სურვილები და შესაბამისი შინაარსობრივი ნაწილი ასახონ კურიკულუმებში. საგნობრივ კათედრაზე ერთობლივი მუშაობით, მიღებული გამოცდილების გაზიარებით, მისი ანალიზით, კურიკულუმის ჩარჩოს დამუშავებით, შესაბამისი თემების, შუალედური მიზნების, შეფასების კრიტერიუმების თუ რესურსების შერჩევით, კათედრებზე შედეგების ანალიზის გათვალისწინებით, მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების შესაბამისად, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე და ორიენტირებულებია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე.
საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებული ჩარჩოების, სასკოლო სასწავლო გეგმაში ინტეგრირებული „კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის" და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, საჭიროა მათი ინფორმირება და უკუკავშირი, რისთვისაც სკოლა გამოიყენებს ისეთ საკომუნიკაციო არხებს, როგორიცაა: ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, ბეჭვდით მასალები, საჯარო ღონისძებები.
სასკოლო საზოგადებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი გაზიარებული აქვთ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს - მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს. მასწავლებლები კათედრის სხდომებზე აქტიურად განიხილავენ, უზიარებენ ერთმანეთს შედეგებს. აანალიზებენ სასწავლო პროცესში გამოვლენილ გამოწვევებსა და ისე გეგმავენ სამომავლო

ნაბიჯებს. ჩატარებული სასკოლო ღონისძიებების დროს ჩართულია სასკოლო საზოგადოებაც და აქტიურად იღებენ მონაწილეობას მის ორგანიზებასა და განხორციელებაში.
დამრიგებლის ოქმებში ნახსენებია, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, დამრიგებლის მუშაობის პრინციპებს, ქცევის კოდექსს და უსაფრთხოების წესებს, ასევე, აცნობენ საგნის კურიკულუმსა და აწვდის ინფორმაციას პროგრამებისა და აქტივობების შესახებ. სკოლისთვის მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების და მშობლების უკუკავშირის მიღება. შესაბამისად, კურიკულუმის გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოებისთვის როგორც ელექტრონული ფორმატით, ასევე ფიზიკურ გარემოში.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო სკოლის ყველა მასწავლებელი და დირექცია, შესაბამისად მათ მიერ ის უკვე გაზიარებულია.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- საგნობრივი კათედრის ოქმები;
- დამრიგებლის ოქმები;
- მშობელთა კრების ოქმები.

### 2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სამივე საფეხურზე სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში გამოკვეთილია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებით მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის რევიზიის დროს ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას. მაგალითად, ქიმიაში მე-11 კლასში გაითვალისწინეს ზეპირი შეფასების ინდიკატორები და მოსწავლეთა ინტერესები. |

| | |
|---|---|
| | კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები. გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით, სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად.<br>**რჩევა:**<br>**სასურველია, მასწავლებლებმა ახალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ საბუნებისმეტყველო საგნებში, საბაზო და საშუალო საფეხურზე თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. ასევე, საგანთა შორის ინტეგრირებული პროექტების, პროდუქტების შექმნაზე. ასევე, განახორციელონ შემაჯამებლების მრავალმხრივ საინტერესოებისა და მრავალფეროვნების მიზნით სხვადასხვა ტიპის დავალებები. მოცემული მიმართულებით საბაზო და საშუალო საფეხურზე სასურველია სკოლას ქონდეს მოსწავლეთა ნამუშევრები თვალსაჩინოების სახით. მოცემულ ეტაპზე სკოლას არ აქვს ლაბორატორია. სკოლამ წარადგინა დირექციის მიერ გადაგზავნილი დოკუმენტაცია ლაბორატორიის მოწყობის მოთხოვნის მიმართულებით. სკოლას აქვს საშუალება გამოიყენოს ელექტრონულ რესურსები, ტელესკოლის გაკვეთილები, www.ck12.edu.ge-ს. რაც ჩაშენებულია კურიკულუმებში.**<br>**რჩევა:**<br>**მე-7 კლასის ფიზიკის კურიკულუმში რესურსებში მითითებულია ლაბორატორია და იოდის სუბლიმაცია, რაც უნდა შეიცვალოს ელ. რესურსით.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემუშავებული კურიკულუმები **დაწყებით, საბაზო** და **საშუალო საფეხურზე** წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. კურიკულუმში, შერჩეული შემოქმედებითი დავალებები საკითხებთან შესაბამისობაშია. შემოქმედებითი პროდუქტი (საინფორმაციო ბუკლეტი, ესე, პრეზენტაცია, დღიური და ა.შ) მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგონ ახალი ცოდნა, აქტიურად ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში, განუვითარდეთ შემოქმედებითი და ფუნქციური უნარები.<br><br>**რჩევა:** |

| | |
|---|---|
| | **სასურველია, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ, როგორც დაწყებით და საბაზო, ასევე საშუალო საფეხურზე, მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, შუალედური მიზნების დაგეგმვისას, შემოქმედებითი დავალებების შერჩევისას უფრო მეტად გამოკვეთონ რა პროდუქტს ქმნიან მოსწავლეები.**<br><br>**სასურველია, VIII კლასის საგნის - „მოქალაქეობა" შუალედური მიზნის დაგეგმვისას დაკონკრეტდეს, რა შემოქმედებით პროდუქტს ქმნიან მოსწავლეები (მაგალითად, „შექმენი შენი მოხალისე", არ ჩანს პროდუქტის დასახელება).**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია წარმოადგენს იმ შესაძლებლობებს რაც მოითხოვს საზოგადოების ინტერესის, ხედვის, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინება. დასკვნის პროექტში აღინიშნა, რომ კურიკულუმში ასახული თემები, საკითხები და ცნებები წარმოადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. ამასთან, ხარვეზის სახით დაფიქსირდა, რომ კურიკულუმების ძირითადი ნაწილი არ იყო შევსებული ქართულ ენაზე.<br>დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა მოდიფიცირებული დოკუმენტები, რის საფუძველზეც შეიცვალა დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | მტკიცებულებებით წარმოდგენილი **დაწყებითი და საბაზო** საფეხურის საგნობრივ (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. განსაკუთრებით მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს, რომ უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე.<br>თავდაპირველად, ვიზიტის ეტაპზე საშუალო საფეხურზე სკოლამ ვერ წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩო მუსიკასა და მოგვიანებით არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დამატებით წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივი (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ რომ ორიენტირება |

| | |
|---|---|
| | ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოაჩენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმები გაწერილია სამიზნე ცნებების მიხედვით და მათში შესულია არაერთი შემოქმედებითი დავალება.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | კურიკულუმებში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის მცდელობა: დავალებები ისეა შერჩეული, რომ დაკავშირებული იყოს მოსწავლის ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მაგალითად I კლასში „ჩემი ეზო", II კლასში „წითელქუდას დახმარება", VIII კლასში ალბათობის გამოყენება ყოველდღიურ სიტუაციებში, XI კლასში „ეშმაკის ბორბლის მოძრაობის" აღმწერი ფუნქციის კვლევა და ა.შ. თუმცა V და VI კლასის კურიკულუმებში დავალებათა სვეტები ნაკლებადაა შევსებული, მხოლოდ 1-2 დავალება გვხვდება (მაგ.: „ნიკას შაბათის საღამოს დაგეგმვა" და “ათწილადების პოსტერის შექმნა”, შესაბამისად, ამ კლასებში მოსწავლეებს ნაკლებად ეძლევათ თვითგამოხატვის, ინიციატივის ან გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმები ასევე განსხვავდება ტექნიკური გაფორმებითაც — ცხრილების დიზაინი, შრიფტის ზომა და ტექსტური სტილი არათანმიმდევრულია სხვადასხვა კლასს შორის. ეს არამარტო ვიზუალური საკითხია - ტექნიკურად გამართული და ერთგვაროვანი დოკუმენტი გაცილებით მარტივად გამოსაყენებელია პრაქტიკაში და იძლევა უფრო მეტ გარანტიას, რომ მასწავლებელი მას რეალურად მიმართავს სასწავლო პროცესის დაგეგმვისას.<br><br>**რჩევა:**<br>**მიზანშეწონილია, V და VI კლასის კურიკულუმებში დაემატოს სკოლის რეალურ გარემოზე მორგებული, პრაქტიკული დავალებები. მაგალითად, ამჟამად შეტანილი „ძველი ბულვარის ტერიტორიაზე სივრცის მოწყობის" ნაცვლად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სოფელ აკეთის ტერიტორიის გაზომვა, ადგილობრივი ბაზრობისთვის ბიუჯეტის შედგენა ან** |

| | |
|---|---|
| | **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მონაცემების დამუშავება. ასეთი დავალებები მოსწავლეებისთვის უფრო ახლობელი და გასაგებია, რაც მოსალოდნელია, რომ სწავლისადმი ინტერესსა და ჩართულობას გაზრდის.**<br>**გარდა ამისა, საჭიროა ტექნიკური ერთიანობის უზრუნველყოფა: დაინერგოს სამივე საფეხურზე საერთო სტანდარტი კურიკულუმებში სვეტების სათაურებისთვის, ცხრილების ფორმატისთვის და ტექსტის სიდიდისთვის. ერთნაირი შაბლონი დოკუმენტს უფრო გასაგებს და გამოსაყენებელს გახდის.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | კათედრის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური) შეესაბამისობაშია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. კურიკულუმებში იკვეთება რა გრძელვადიან მიზნებს ემსახურება სწავლა-სწავლება, რა აქტივობები უნდა განხორციელდეს, რა შემოქმედებით პროდუქტს სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს. სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე შერჩეული თემები/სპორტის სახეობები და საკითხები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დაგეგმვის შესაძლებლობას.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების ეფექტურ გზას. იგი სრულად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნებებზე) ორიენტირებით; სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება კონსტრუქტივისტულ პრინციპებს; კურიკულუმში ინტეგრირებული კომპლექსური დავალებების იდეები ხელს უწყობს მოსწავლის მიერ ფუნქციური პროდუქტის შექმნას და გრძელვადიანი მიზნების - მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ დაწყებითი საფეხურის, I-IV კლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს |

| | |
|---|---|
| | მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმების განხორციელებისას მასწავლებლებს გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმილი აქვთ შემოქმედებითი დავალებებით სწავლება.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

## 2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო კათედრის წევრები ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, კათედრის ოქმებში, კათედრის წევრების შეხვედრებზე, ხდება სხვადასხვა პროცესების გაანალიზება და შემდეგ გათვალისწინება. კურიკულუმი შეესაბამება ეროვნულ სასწავლო მიზნებს.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმები **დაწყებით, საბაზო** და **საშუალო საფეხურზე** ძირითადად შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად: გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები/საფეხურის შედეგები, სასწავლო თემები, საკითხთა კლასტერი, სასწავლო რესურსი, შემოქმედებითი პროდუქტის სახით გაწერილი შუალედური მიზნები.<br>შემოქმედებითი ტიპის დავალებები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტი-რებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე. კერძოდ, სასწავლო პროექტები („ქქვთიმე თაყაიშვილი“, “დავით აღმაშენებელი“, „ჩემი წვლილი ბუნების დაცვის საკითხებში“ და სხვ) მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, განუვითარდეთ თანამშრომლობის პროებლემის გადაჭრის,კომუნიკაციის ემპათიის, აქტიური მოსმენის უნარები.<br><br>**რჩევა:**<br>**კურიკულუმში ჩაშენებულია პროექტები. სასურველია, განსახორციელებელ პროექტს თან ახლდეს სამიზნე ცნებები, სამოქმედო გეგმა, აქტივობები და რესურსები.** |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურის, როგორც ინგლისური ენის, ასევე, რუსული ენის კურიკულუმები მიემართება სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, რამეთუ კურიკულუმში ასახული და გაწერილი თემები, საკითხები და ცნებები იძლევა ამის საშუალებას.<br><br>**რჩევა:**<br>**სასურველია, კურიკულუმში გაწერილი დავალების სრულყოფილი სახით ჩამოყალიბება და მისი გაშლა. სასურველია მეტი აქტივობების გაწერა კონკრეტული თემის მიხედვით, დასამუშავებელი საკითხების გათვალისწინებით.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | **დაწყებითი და საბაზო** საფეხურის ორივე საგნის (განსაკუთრებით მუსიკაში) კურიკულუმებით დასტურდება, რომ სასწავლო პორცესში შემოქმედებითი დავალება განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი, ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი ხაზს უსვამს შუალედური დავალების როლს ამ უნარების გააქტიურებაში და მიიჩნევს, რომ ის ორიენტირებულია არა მხოლოდ აქტივირებაზე, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი **დაწყებითი** საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები (მუსკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI კლასები და **საბაზო** VII, VIII-IX კლასები აღნიშნული სტანდარტთან შესაბამისობა სწორად არის წარმოდგენილი და კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები არის გააზრებული. დაფარულია ყველა სავალდებულო თემატური ბლოკი, თემატური ბლოკის ფარგლებში სამიზნე ცნებები, საკითხი, კომპლექსური დავალების განხორციელების დროს ქვეცნებები, კონტექსტ მაგალითები.<br><br>თავდაპირველად, ვიზიტის ეტაპზე საშუალო საფეხურზე სკოლამ ვერ წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩო მუსიკასა ხელოვნებაში. მოგვიანებით, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულების მიერ მტკიცებულებებით წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივი (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმების მიხედვით შიძლება დავასკვნათ რომ პროექტული სწავლებისას |

| | |
|---|---|
| | აღნიშნული სტანდარტთან შესაბამისობა სწორად არის წარმოდგენილი და კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები არის გააზრებული.<br><br>**რჩევა:**<br>**სასურველია, დაწყებით და საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შედგენის დროს ყურადღება მიექცეს აკადემიური საათების რაოდენობას და მასთან მიმართებით განისაზღვროს თითოეულ კლასში თემების რაოდენობა.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის კათედრაზე წარმოდგენილი ყველა კურიკულუმი გაწერილია სამიზნე ცნებების მიხედვით, ეყრდნობა ეროვნული გეგმით განსაზღვრულ თემატიკასა და ტექსტებს. სამივე საფეხურზე შეტანილია ისეთი დავალებები, რომლებიც ემსახურება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ამას ადასტურებს მათ მიერ გადმოგზავნილი არაერთი დავალების სრულყოფილი პირობები და ისიც, რომ ასევე გასაუბრების დროს პედაგოგებმა განიხილეს დავალებები, რომლებზეც იმუშავეს მათმა მოსწავლეებმა, აღწერეს დაწვრილებით დავალებებზე მუშაობის პროცესი.<br><br>**რჩევა:**<br>**ჩასასწორებელია მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩო (შინაარსობრივად გამართულია). ასევე საშუალო საფეხურის კურიკულუმებში, სასურველია, წაიშალოს კონკრეტული პედაგოგების სახელი და გვარები.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სკოლის მიერ წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმები სტრუქტურულად ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ განსაზღვრულ შინაარსობრივ კატეგორიებს. სამივე საფეხურზე კურიკულუმებში გამოყოფილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი სამიზნე ცნებები და საკითხები. საფეხურიდან საფეხურამდე თემები თანმიმდევრულად რთულდება - დაწყებითში რიცხვებისა და სივრცითი ორიენტაციის საფუძვლებიდან (I კლასი) საბაზოში ალგებრულ გამოსახულებებამდე, ფუნქციებამდე (IX კლასი) და საშუალოში ტრიგონომეტრიამდე, მათემატიკური ინდუქციისამდე (XI-XII კლასი). II კლასის |

| | |
|---|---|
| | კურიკულუმში პირდაპირაა მითითებული „ეროვნული ფულის ნიშნები", რაც ადასტურებს ეროვნული სასწავლო გეგმის კონტექსტის გათვალისწინებას.<br><br>**რჩევა:**<br>**სასურველია, სკოლის ადმინისტრაციამ პერიოდულად გადაამოწმოს, რამდენად შეესაბამება სასწავლო პროცესი კურიკულუმში დაგეგმილს, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტის პრაქტიკულ გამოყენებას.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | შემუშავებული ფიზიკური აღზრდის და სპორტის კურიკულუმი სამივე საფეხურზე ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე და ითვალისწინებს საგანმანათლებლო ამოცანების შესრულებას. შემოქმედებითი დავალებები ორენტირებულია სამიზნე ცნებებზე და მოიცავს ისეთ პრაქტიკულ დავალებებს, როგორიცაა სპორტული ფესტივალი, მხიარული თამაშები, პროექტის მომზადება, კონფერენცია, ხელს უწყობს მოსწავლეებში თანამშრომლობითი, გუნდური, სოციალური უნარების განვითარებას.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | წარმოდგენილი კურიკულუმები სრულად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მოთხოვნებს, რადგან სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაზე. დოკუმენტაციაში მკაფიოდ ჩანს საკითხთა თანმიმდევრული განვითარება (მაგალითად, ალგორითმების სწავლება იწყება II კლასში მარტივი ციკლებით და VI კლასში რთულ ოპერატორებსა და ცვლადებზე გადადის). სასწავლო თემები და დავალებების იდეები (მაგ: „შექმენი თამაში Scratch-ში“, „პერსონალური გამოფენა One Drive-ში“) მიმართულია პრიორიტეტული კომპეტენციების ციფრული წიგნიერების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისკენ. თითოეული კლასის კურიკულუმში ინტეგრირებული კომპლექსური დავალებები წარმოადგენს იმ ინსტრუმენტს, რომლითაც მოწმდება საფეხურებრივი შედეგების მიღწევა. წარმოდგენილი „კონტექსტ-მაგალითები“ საშუალებას იძლევა, ახალი ცოდნა დაეფუძნოს მოსწავლის პირად გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის კონსტრუირებას. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ -ის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. მასწავლებლებმა წარმოადგინეს შემოქმედებითი დავალების პროდუქტები, განხორციელებული პროექტები, ღონისძიებები, რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს კრიტიკულ და შემოქმედებითი აზროვნებას.<br>სკოლის მიერ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი **ბუნებისმეტყველების, მათემატიკის, სახელმწიფო ენის** პერველი, მე-2, მე-3, მე-4 კლასების კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, კურიკულუმებში ასახული შუალედური მიზნები, აგრეთვე, საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | კურიკულუმით გათვალისწინებული და დაგეგმილი სასწავლო პროცესის განსახორციელებლად სკოლა ძირითადად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და ელექტრონულ რესურსებს: ტელესკოლის, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ მომზადებულ პრეზენტაციებს, მოძიებულ თემატურ მასალას. აქვთ ცხრილები, პლაკატები (რაც ჩანს გადაღებულ ფოტო-მასალაში). სკოლას არ აქვს კეთილმოწყობილი და აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. მწირი რაოდენობის ლეპტოპებით და პროექტორით მასწავლებლები იყენებენ ელ. რესურსებს, რაც საგაკვეთილო პროცესს უფრო საინტერესოს |

| | |
|---|---|
| | ხდის. აღნიშნული ხელს უწყობს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საინტერესო პროექტებზე მუშაობენ მოსწავლეები ინტეგრირებული მიმართულებით (ბუნებისმეტყველება-გეოგრაფია).<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | **დაწყებით, საბაზო** და **საშუალო** საფეხურზე, საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია, როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი ელექტრონული რესურსები: სამეცნიერო ვიდეო-ფილმები, ფოტო მასალა. მათი გამოყენებით მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი.<br>საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმისა და სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში ყურადღება ეთმობა რესურსების შერჩევას, მოძიებას და მათ მიზნობრივ გამოყენებას სასწავლო პროცესში.<br>**რჩევა:**<br>**საგანში ჩვენი საქართველო სახელმძღვანელოსთან ერთად სასურველია გამოყენებული იქნას დამატებითი ელექტრონული რესურსები, თემატური რუკები.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | რესურსების ჩამონათვალი, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს მოსწავლის სწავლის შედეგის მიღწევას.<br><br>**რჩევა:**<br>**სასურველია, ინგლისური ენის კურიკულუმების კონტექტს მაგალითის სვეტში სწორად ასახონ ამ სვეტისთვის განკუთვნილი დავალება და გამოიყენებული იქნეს შესაბამისი დამატებითი რესურსები.**<br>**რუსული ენის კურიკულუმში კი ცნებების და ქვეცნებების გრაფაში სწორად გაწერონ შესაბამისი ინფორმაცია, საკითხები კი გადაიტანონ შესაბამის გრაფაში.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| ესთეტიკური აღზრდა | დაწყებითი (I-IV კლასების)/**საბაზო საფეხურის VII, VIII-IX** მუსიკა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები: გრიფირებული სახელმძღვანელოები, ინტერნეტ რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცეს ხდის მეტად საინტერესოსა და მოქნილს. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ზემოთ აღნიშნული რესურსები, ძირითადად, სრულადაა ასახული დაწყებითი საფეხურის **მუსიკის** საგანმათლებლო პროგრამის დაწყებითი კლასების კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში.<br>თავდაპირველად, ვიზიტის ეტაპზე საშუალო საფეხურზე სკოლამ ვერ წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩო მუსიკასა და ხელოვნებაში,ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა ისაუბრეს პროექტების განხორციელების ფარგლებში გამოყენებულ რესურსებზე, რის შედეგადაც კურიკულუმის ექსპერტმა ითხოვა ვიზიტის დასრულებამდე მუსკასა და ხელოვნებაში კურიკულუმების გამოგზავნა, თუმცა, არ იქნა წარმოდგენილი და დადგინდა ხარვეზი.<br>მოგვიანებით, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულების მიერ მტკიცებულებებით წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივი (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ რომ პროექტული სწავლებისას დაგეგმილი ნაბიჯები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. აღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა შეცვალა შეფასება.<br><br>**რჩევა:**<br>**სასურველოია ხელოვნების კურიკულუმში მეტად აისახოს სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები. მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე თავადაც შექმნათ ვიზუალური სახალისო თუ შემოქმედებითი რესურსები.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის კათედრაზე წარმოდგენილი კურიკულუმების უმეტესობაში შეტანილია, როგორც ძირითადი რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ისე დამატებით ვიდეო თუ აუდიო ინტერნეტრესურსები. ასევე დამხმარე ტექსტები ონლაინრესურსების სახით.<br><br>**რჩევა:**<br>**ამ კუთხით შესავსებია VII და XI კლასების კურიკულუმები, რომლებშიც მითითებულია მხოლოდ ძირითადი რესურსი-სახელმძღვანელო. კარგი იქნება, თუ კათედრა იმუშავებს ამ კლასებშიც რესურსების გამრავალფეროვნებაზე და შეიტანს დამატებით რესურსებს კურიკულუმებში.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | კურიკულუმებში ასახულია სასწავლო რესურსების გამოყენების ზოგადი ხედვა და სურვილი, რომ ისინი დაეხმაროს მოსწავლეს სასწავლო შედეგების მიღწევაში, სამივე საფეხურის კურიკულუმებში რესურსების სვეტი შევსებულია და მოიცავს, როგორც ბეჭდურ, ისე ციფრულ სასწავლო მასალას: ძირითად რესურსად ყველა კლასში მითითებულია სახელმძღვანელო კონკრეტული გვერდების მითითებით, ხოლო დამატებით გამოყენებულია ციფრული პლატფორმები: III-IV კლასში — YouTube-ის ვიდეორესურსები და ტელესკოლა, V-VI კლასში — Khan Academy, VII კლასში — ვიდეორესურსები, VIII კლასში — iსკოლა და ტელესკოლა, X და XII კლასში — Khan Academy, YouTube და el.ge.<br>თუმცა, კურიკულუმებში რესურსები ზოგჯერ არასრულად არის მითითებული — მაგალითად, VI კლასში ჩამოთვლილია ტელესკოლა და math.ge კონკრეტული ბმულის ან გაკვეთილის დასახელების გარეშე, XI კლასში კი რამდენჯერმე მოხსენიებულია „მათემატიკური წიგნიერება" თემისა და გვერდის მითითებით, თუმცა გაურკვეველია, რომელ კონკრეტულ გამოცემას ან პლატფორმას გულისხმობს. ასეთი მითითებები მასწავლებელს რესურსის პოვნასა და გამოყენებაში პრაქტიკულ დახმარებას ნაკლებად უწევს.<br>**რჩევა:**<br>**სასურველია რესურსების მითითების ერთიანი სტილის ჩამოყალიბება სამივე საფეხურზე, დაკონკრეტდეს თემა-საკითხის მიხედვით (მაგ. შესაძლოა ყველა რესურს გაუკეთდეს მსგავსი აღწერა: „ხანის აკადემიის ვიდეო: URL მისამართი; თემა: სამკუთხედების მსგავსება).**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| სპორტი | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე გაწერილია და გათვალისწინებულია სასწავლო რესურსები, (ჰიპერლინკები, გრიფმიმიჭებული სახელმძღვანელოები, შერჩეული სპორტული რესურსი და სხვა) რომლებიც ემსახურება თემიდან გამომდინარე კონკრეტული სამიზნე ცნების დამუშავებას და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**რჩევა:**<br>**სასურველია კურიკულუმში გაწერილი და მითითებული რესურსები გადამოწმდეს და განახლდეს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეებისთვის უწყვეტი და ეფექტიანი წვდომა სასწავლო მასალებზე.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ანალიზით დასტურდება, რომ შერჩეული სასწავლო რესურსები პირდაპირ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმში რესურსები დაჯგუფებულია მიზნობრივად: სწავლის პროცესში გამოყენებულია საერთაშორისო და ლოკალური პლატფორმები (Scratch, Code.org, school.emis.ge, "ვსწავლობთ თამაშით"), რაც ხელს უწყობს ალგორითმული და ლოგიკური აზროვნების განვითარებას პრაქტიკული გზით. Microsoft Office 365-ის (Word, Excel, PowerPoint, OneDrive, Sway) ინტეგრირება საშუალებას აძლევს მოსწავლეს, დაეუფლოს ინფორმაციის დამუშავებას, შენახვასა და გაზიარებას რეალურ ციფრულ გარემოში. პირობითი ნიშნებისა და კომპიუტერის აგებულების სწავლებისას გამოყენებულია თვალსაჩინოებები, მაკეტები და გრაფიკული რედაქტორები (Paint 3D), რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებით საფეხურზე კონსტრუქტივისტული მიდგომის (კეთებით სწავლება) განხორციელებისთვის.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის, I-IVკლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები: გრიფირებული სახელმძღვანელოები, განათლების სამინისტროს მოწოდებული და ინტერნეტ რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს.<br>სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება, რომ, |

| | |
|---|---|
| | კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ზემოთ აღნიშნული რესურსები ასახულია დაწყებითი **საფეხურის** საგანმათლებლო პროგრამის სახელმწიფო ენის, მათემატიკისა და **ბუნებისმეტყველების** პერველი, მე-2, მე-3, მე-4 კლასების კლასების კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში.<br>აღსანიშნავია, რომ **ბუნებისმეტყველების საგნის** სწავლება შეუძლებელია ექსპერიმენტების და ცდების გარეშე, ამიტომ საბუნებისმეტყველო საგნის კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოებში, სასწავლო რესურსების სვეტში აუცილებელია მკაფიოდ აისახოს ვირტუალური ან/და ვიდეო ან/და **მარტივი** რეალური (ცოცხალი) ექსპერიმენტები და ცდები.<br>**რჩევა:**<br>**სკოლის დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების ყველა კურიკულუმში, სასწავლო პროცესის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მკაფიოდ აისახოს მარტივი რეალური ან/და ვიდეო ან/და ვირტუალური ექსპერიმენტები ან/და ცდები, განისაზღროს დასახელება, მისი მათი სახეობა (მაგალითად, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სადემონსტრაციო, საშინაო) და ნუმერაცია.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრის დროს გამოიკვეთა ზეპირსიტყვიერად, რომ სკოლა მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე ახორციელებს დიფერენცირებულ სწავლებას. მაგალითად, საბუნებისმეტყველო მიმართულების გაძლიერებით იმუშავეს ინდივიდუალურდ ან სხვადასხვა კონფერენციების მოსამზადებელ თემებზე. სსსმ მოსწავლეებისათვის კურიკულუმის ადაპტაცია და ისგ გეგმის შემუშავება მოხდება ესგ- ით მითითებულ ვადებში.<br>**რჩევა:**<br>**რადგან, სკოლის მიერ დიფერენცირებული მიდგომების განხორციელება მხოლოდ ზეპირსიტყვიერად გამოიკვეთა, სასურველია შესაბამისი მასალა წარმოდგენილი იყოს თვალსაჩინოების სახით. ასევე, სსსმ მოსწავლესთან მუშაობის ინდ.გეგმა დამატებით არჩევით საგნებში სკოლას მე-10 კლასში აქვს კონსერვაციული ბიოლოგიის საფუძვლები და სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა. სკოლამ წარადგინოს შესაბამისი კურიკულუმი.** |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:**<br>**სასურველია მკაფიოდ გამოიკვეთოს მოსწავლეთა საჭიროებები და შესაბამისად დაიგეგმოს მოკლევადიანი მიზნები. მკაფიოდ გამოიკვეთოს კათედრის წევრების მიერ გათვალისწინებული დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები - კურიკულუმში შეტანილი ცვლილებები კლასის საჭიროებიდან გამომდინარე. სასურველია, რომ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სპეციალური საგანმანათლებლო გეგმის (ისგ) შემუშავების პროცესში კათედრის ყველა წევრი ჩაერთოს, რათა სკოლამ შეიმუშაოს და განახორციელოს სპეციალური სასწავლო გეგმა ნებისმიერი ტიპის მოსწავლის მიღებისა და მხარდაჭერისათვის, რაც ხელს შეუწყობს სკოლაში ინკლუზიური განათლების ხარისხიანად განხორციელებას და უზრუნველყოფს ნებისმიერ მოსწავლეზე მორგებულ საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სპეციალური სასგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. გეგმებში კარგად ჩანს, როგორ ახდენს მასწავლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის უნარების განვითარებას და ცოდნის მიღებას, მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით.<br>მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებასა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში.<br>სკოლაში მოსწავლეთა ინტერესის გათვალისწინებით შექმნილია მოქალაქეობის კლუბი - მომავლის თაობა.<br>კურიკულუმში გათვალისწინებული შემოქმედებითი ტიპის დავალებების პირობა და ფორმა იძლევა მოდიფიცირების საშუალებას. მოსწავლეს აქვს არჩევანის შესაძლებლობა, თავისი ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით გააკეთოს დავალება, შექმნას პროდუქტი. მაგალითად, მოსწავლეს შეუძლია კომიქსი შექმნას ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით ან შეასრულოს ხელით.<br>ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში კარგად ჩანს, როგორ იყენებენ მასწავლებლები საინტერესო და მრავალფეროვან რესურსებს, რათა მოსწავლეს განუვითარდეს სხვადსხვა უნარები. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, გათვალისწინებულია ინკლუზიური და გამოყენებულია დიფერეცირებული მიდგომები.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | თვითშფასების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია და კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მიერ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესის და მოსწავლეების მიღწევების აღწერა შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კათედრა **დაწყებით და საბაზო საფეხურზე** ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს, ასევე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივოების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და ამის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/აქტივობების მოდიფიცირებასა და დირენეცირებას, თუმცა კურიკულუმებში ნაწილობრივ აისახება ყოველივე.<br><br>**საშუალო საფეხუზე** წარმოდგენილია მე-11 კლასის ხელოვნებაში სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, განხორციელებული ყველა ნაბიჯი შეფასებებითა და ფოტო მტკიცებულებით. რის საფუძველზეც შეიძლება დადასტურდეს, რომ სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში სასწავლო პროცესი არის იკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.<br><br>**რჩევა:**<br>**სასურველია კურიკულუმებში მეტად ჩანდეს დაწესებულების მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესში გათვალისწინებული დიფერენცირებული დ აინკლუზიური მიდგომები.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კურიკულუმი სამივე საფეხურზე შეიცავს აუცილებელ კომპონენტებს. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს და გასაუბრებისას სახელმწიფო ენის კათედრის წევრებმაც აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შეესაძლებლობებს, ცდილობენ |

| | |
|---|---|
| | ისეთი დავალებების შეტანას, რომელთა შესრულებაც ნებისმიერი აკადემიური მოსწრების მოსწავლეს შეეძლება თავისი უნარისა და შესაძლებლობის მიხედვით, იყენებენ დიფერენცირებული მიდგომასაც.<br><br>რჩევა:<br>**კარგი იქნება კათედრაზე შეიქმნას დიფერენცირებული მიდგომით მომზადებული დავალებების ერთგვარი ბანკი. სხვადასხვა ტიპის დავალებები შემდეგ გაუადვილებს მასწავლებლებს მოსწავლეებთან მუშაობას.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე ინკლუზიური სწავლებისა და დიფერენცირებული მიდგომების შესახებ პირდაპირი მითითება არ მოიძიება. ამასთანავე, სკოლაში არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, თუმცა მათ და საგნობრივ კურიკულუმებს შორის კავშირი დოკუმენტურად არ ჩანს.<br>**რჩევა:**<br>**მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს, რომ საგნობრივი კურიკულუმი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ერთმანეთთან შეთანხმებული იყოს და მასწავლებლებს ჰქონდეთ სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის კონკრეტული სტრატეგიები.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | კურიკულუმებში ასახული შემოქმედებითი დავალებები და აქტივობები (სპორტული ფესტივალი, პროექტი) იძლევა შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესში ჩაერთოს ყველა მოსწავლე, მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების მიუხედავად. ასეთი დაგეგმილი სასწავლო პროცესი განაპირობებს მოსწავლეთა ინტერესის ამაღლებასა და აქტიურ ჩართულობას ფიზიკურ აქტივობებში.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმების ანალიზი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი აგებულია ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული სწავლების პრინციპებზე. დოკუმენტაციაში გამოკვეთილია შემდეგი მიდგომები: კურიკულუმით გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები იძლევა მათი მოდიფიცირების შესაძლებლობას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. მაგალითად, ვიზუალური პროგრამირების (Scratch) გამოყენება საშუალებას აძლევს მასწავლებელს, შესთავაზოს მოსწავლეებს სხვადასხვა სირთულის ალგორითმები, მარტივი ანიმაციიდან რთულ, მრავალდონიან თამაშებამდე. სწავლის პროცესში გამოყენებულია, როგორც ტექსტური, ისე ვიზუალური და აუდიო რესურსები (მაგ. „ვსწავლობთ თამაშით“, ვიდეო გაკვეთილები, Paint 3D), რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის (ვიზუალური, კინესთეტიკური) მასალის ხელმისაწვდომობას. კურიკულუმი ითვალისწინებს „ხარაჩოს“ პრინციპს, რაც ხელს უწყობს მათ დამოუკიდებელ მუშაობას საკუთარი ტემპით. დავალებების იდეები (მაგ. „შექმენი შენი სამუშაო დღის ციკლი“, „პერსონალური გამოფენა“) მორგებულია მოსწავლეთა პირად კონტექსტსა და ინტერესებზე, რაც ზრდის მათ მოტივაციას და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ყველა მოსწავლის ჩართულობას. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს. შერჩეული მეთოდოლოგია და რესურსები მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, სასწავლო გარემო მოარგოს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და წინარე ცოდნას, რაც უზრუნველყოფს თანაბარ წვდომას ხარისხიან განათლებაზე.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის, I-IV კლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), კურიკულუმში თვალნათლივ ჩანს, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. პედაგოგებთან გასაუბრებამაც დაადასტურა, რომ მასწავლებლები მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესის განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები. |

| | |
|---|---|
| | მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით აღსანიშნავია, რომ სკოლას დაწყებით საფეხურზე აქვს პედაგოგიური რემედიაციის გამოცდილება, რომელიც მიზნად ისახავდა მოსწავლეთა აკადემიური წარუმატებლობის თავიდან აცილებას.<br>ინტერვიუდან ირკვევა, რომ კურიკულუმის კორექციის პროცესი იყო ბავშვის ტემპზე ადაპტირებული და სპეციალური მეთოდების გამოყენებაზე დაფუძნებული.<br>აღსანიშნია ის, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში, როგორიც არის შემოქმედებითი ბუნების დავალებები და შემაჯამებელი დავალებებში, არ იკვეთება მკაფიო ტენდენცია დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომების მიმართ, ამიტომ სკოლას ეძლევა **რჩევა:**<br>**დაწყებითი საფეხურის, I-IV კლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება) საგნების შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, შემოქმედებითი ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოკვეთონ დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

**5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლამ დოკუმენტაციის სახით წარადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურისთვის. პროექტის შეფასების რუბრიკები. სკოლა შეფასებას ახორციელებს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებებით. მონაცემები მუშავდება კათედრაზე და გაეცნობა სასკოლო საზოგადოებას.<br>**რჩევა:**<br>**განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა/ რუბრიკები საგნების მიხედვით უნდა იყოს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არის ზოგადი ხასიათის და არ ასახავს კონკრეტული პროდუქტის შექმნის დროს მოსწავლის შეფასებას. დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური შეიქმნას შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემა დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურზე, სადაც შეფასების სქემა მიმართულია სამიზნე ცნებაზე.** |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლაში გამოიყენება, როგორც განმსაზღვრელი (10 ქულიანი), აგრეთვე განმავითარებელი შეფასება შესაბამისი რუბრიკებით. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებზეა ორიენტირებული.<br>**განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება** ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.<br>**დაწყებით, საბაზო** და **საშუალო** საფეხურზე, საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალ საგნებში (საგანში - ჩვენი საქართველო, მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან), თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში, შესასწავლ საკითხებთან მიმართებით შემუშავებულია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, *საგნობრივ სტანდარტში მოცემული თემის ფარგლებში შედეგების მიღწევების ინდიკატორების* მიხედვით.<br>• დაკონკრეტებულია საკითხებთან მიმართებით;<br>• თითოეული მათგანისთვის გარკვეული ქულობრივი წონა აქვს მინიჭებული;<br>• შეფასების რუბრიკა მოიცავს ყველა სამიზნე ცნებას, ან ფოკუსირებულია მხოლოდ რამდენიმე მათგანზე.<br><br>**რჩევა:**<br>**მიზანშეწონილია ყველა შემოქმედებით დავალებას ახლდეს შეფასების რუბრიკები.**<br>**საბაზო და საშუალო საფეხურზე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას.**<br>• **განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავებისას, კრიტერიუმები მიზნობრივად იყოს გაწერილი საგნობრივი სტანდარტის შედეგებთან შესაბამისობაში;**<br>• ***საშუალო საფეხურის შეფასების რუბრიკა ისტორიაში საჭიროებს დახვეწას, საბაზო საფეხურის შედეგებია კრიტერიუმებად ჩაშლილი ნაცვლად საშუალო საფეხურის შედეგებისა.***<br>• **განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებზე უნდა იყოს ორიენტირებული. სკოლას ჩატარებული აქვს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება, რომელსაც თან ახლავს მოსწავლეთა ანგარიშის ფორმა და ანალიზი.**<br>**რჩევა:**<br>• **სადიაგნოსტიკო წერის შედეგების ანალიზის დროს სასურველია უფრო მეტად დაკონკრეტდეს და დეტალურად გაანალიზდეს მოსწავლის მიღწევები;** |

| | |
|---|---|
| | • **გამოკვეთილი პრობლემის აღწერა მოხდეს მოსწავლის ნაშრომიდან მოყვანილი კონკრეტული მაგალითებით.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | წარმოდგენილი შეაფსების რუბრიკების მიხედვით, შემიძლია ავღნიშნო, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, ტარდება სადიაგნოსტიკო ტესტირებები მოსწავლეთა საჭიროების დასადგენად.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | კათედრამ წარმოადგინა ზოგადი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები, რომელსაც აქტიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი **დაწყებით** საფეხურზე განმავითარებელი შეფასებისთვის ხშირად გამოიყენებენ ისეთ საშუალებებს, როგორიცაა დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. ასევე თითოეულ მოსწავლესთვის ელექტრონულ ჟურნალში ასახავენ განმავითარებელი შეფასების კომენტარს, რომელთანაც წვდომა მოსწავლის მშობელს ან კანონიერ წარმოადგენელს აქვს. **საბაზო** საფეხურზე მუსიკასა და ხელოვნებაში წარმოდგენილია რამდენიმე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. ასევე სკოლას აქვს წარმოდგენილი ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია რომ, სკოლა კათედრებზე შეიმუშავებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ რუბრიკებს.<br><br>**საშუალო** საფეხურზე მუსიკასა და ხელოვნებაში კათედრას აქვს წარმოდგენილი პროექტის შეფასების რუბრიკები. ასევე საშუალო საფეხურზე წარმოდგენილია მუსიკის მე-10 კლასის და ხელოვნების მე-11 კლასის მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტიკური შეფასება.<br><br>**რჩევა:**<br>**შემაჯამებლის ანგარიშში (საშუალო საფეხური), შესწორებას საჭიროებს ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ, პრობლემების აღწერაში დართულია ქიმიის ცნებებზე აღწერილი შედეგები.** |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:**<br>**დაწყებითი საფეხურის შერჩეული თემების მიხედვით სრულად მომზადდეს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და შეიქმნას შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემა, სადაც შეფასების კრიტერიუმები ორიენტირებული იქნება სამიზნე ცნებებზე.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები გაწერილია ცნებების მიხედვით და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.<br>გასაუბრების დროს პედაგოგებმა დეტალურად ახსნეს, როგორ აფასებენ თავიანთ მოსწავლეებს, განიხილეს კონკრეტული მაგალითები როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებების ნიმუშები კომენტარების სახით.<br>**რჩევა:**<br>**სასურველია, კათედრამ მოამზადოს სამიზნე ცნებებზე მორგებული როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების სხვა ნიმუშებიც სამივე საფეხურზე.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საფეხურზე თითო ნიმუში. დოკუმენტები სტრუქტურულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს - განმავითარებელი რუბრიკა დაფუძნებულია სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე, განმსაზღვრელი კი მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს და ქულებს. წარმოდგენილი დოკუმენტების მცირე რაოდენობა არ იძლევა სრულ სურათს იმის შესახებ, თუ როგორ ხდება შეფასება სხვადასხვა თემებში. ამასთანავე, დოკუმენტები ზოგადი ხასიათისაა და სკოლის სპეციფიკური კონტექსტი მათში არ იკვეთება.<br>**რჩევა:**<br>**მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები ყველა საფეხურისა და ძირითადი თემისთვის და უზრუნველყოს, რომ ისინი რეალურად გამოიყენებოდეს სასწავლო პროცესში.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| სპორტი | კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებში სამივე საფეხურზე ჩანს, რომ შეფასება ეყრდნობა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებზე. მასწავლებელმა გასაუბრების დროს ისაუბრეს სასწავლო პროცესში გამოყენებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებაზე, რომელიც საშუალებას იძლევა სისტემატურად შეფასდეს მოსწავლის პროგრესი და მიღწეული შედეგები.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, არის მრავალმხრივი და განვითარებაზე ორიენტირებული. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ვალიდურად მიემართება სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გათავისების პროცესს. განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები კი მკაფიოდ არის სტრუქტურირებული, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ობიექტურ, გამჭვირვალე და სამართლიან გაზომვას. შეფასების პროცესი ხელს უწყობს ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული) რეალიზებას და სრულ თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.<br>**რჩევა:**<br>**ტექნოლოგიების საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია კიდევ უფრო გააქტიურდეს ციფრული პორტფოლიოების წარმოების პრაქტიკა (მაგალითად, OneDrive-ის ან Sway-ს ბაზაზე). ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, თავადვე მოახდინონ საკუთარი პროგრესის ვიზუალიზაცია და დინამიკაში დაინახონ საკუთარი განვითარება, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს განმავითარებელი შეფასების ეფექტურობას.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის, I-IV კლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), კურიკულუმში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას.<br>მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის I თავის - „სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების კონცეპტუალური და ადმინისტრაციული |

| | |
|---|---|
| | საკითხების“ მე-7 მუხლით გასაზღვრულ მოსწავლის შეფასების სისტემის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.<br>**სკოლას ეძლევა რჩევა:**<br>**დაწყებითი საფეხურის, I-IV კლასების სახელმწიფო ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველების სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე, სრულად მოამზადოს დაწყებითი საფეხურის შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან/ქვესაკითხებთან მიმართებით განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და შეიქმნას შემაჯამებელი დავალებების შეფასების სქემა, სადაც შეფასების კრიტერიუმები ორიენტირებული იქნება სამიზნე ცნებებზე.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარების მექანიზმი;
- შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი/განმსაზღვრელი);
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- პროექტები მოქალაქეობაში;
- პროექტები საბუნებისმეტყველო საგნების;
- კათედრის ოქმები;
- კათედრის სამოქმედო გეგმა;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო რესურსები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური);
- სადიაგნოსტიკო წერის შედეგების ანგარიშის ფორმა და ანალიზი;
- დავალების ბარათები;
- არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი განახლებული კურიკულუმები უცხოურ ენებში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება
## 2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | მასწავლებლები კათედრებზე აქტიურად თანამშრომლობენ სასკოლო კურიკულუმის განვითარებასა და დახვეწაზე, სისტემატურად ხდება პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება და ურთიერთდახმარება, ურთიერთდასწრება, ერთობლივი თანამშრომლობა სასკოლო ინტელექტუალურ პროექტებზე. ასევე, აქცენტი კეთდება მეტად აქტუალურ თემებზე: მწვანე მომავალი, მავნე ჩვევების პრევენცია, სახეობათა კონსერვაცია, ბიომრავალფეროვნება. ძირითადად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად.<br>კათედრა აძლიერებს არაფორმალურ განათლებას, აკავშირებს ფორმალურ განათლებასთან მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებით.<br><br>**რჩევა:**<br>**ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე, სასურველია ყოველი წლის ბოლოს დაიგეგმოს კურიკულუმის ანალიზი, თუნდაც კომენტარების სახით. სასურველია ანალიზის შედეგები აისახოს კათედრის გეგმაში და გამოყენებულ იქნას, როგორც მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვისა და პროცესის გაუმჯობესების საფუძველი (სამივე საფეხური - ყველა საგანი).**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.<br>მასწავლებლებლთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად, კეთდება ანალიზი, ითვალისწინებენ სკოლის ძლიერ მხარეებს და გამოწვევებს, მონიტორინგის შედეგებს, რის საფუძველზეც იგეგმება ცვლილებების შეტანა საგნობრივ კურიკულუმებში.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | სასწავლო თუ საგაკვეთილო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ნიმუშები, ჩატარებული პროექტები და შეფასების რუბრიკები მოწმობს ამას.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ წარმოდგენილ **დაწყებითი** საფეხურის ხელოვნება I-VI) და **საბაზო** საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, თემებს შორის. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის ჩარჩო კურიკულუმში, სადაც შემოქმედებითი დავალება ხორციელდება სწორად არის წარმოდგენილი შუალედური სასწავლო მიზნები, რომელიც აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ  სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკარტოთან შესაბამისობაშია, შესაბამისად სასწავლო პროცესი ხორციელდება დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.<br><br>**საშუალო საფეხურთან დაკავშირებით,** ინტერვიუზე კათედრის წევრებმა ისაუბრეს პროექტულ სწავლებაზე, განხორციელებულ პროექტებზე, მაგრამ არ იყო წარმოდგენილი კურიკულუმები მუსიკასა და ხელოვნებაში.რის შედეგადაც კურიკულუმის ექსპერტმა ითხოვა ვიზიტის დასრულებამდე მუსკასა და ხელოვნებაში კურიკულუმების გამოგზავნა. მოგვიანებით არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულების მიერ მტკიცებულებებით წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივი  (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)  ჩარჩო კურიკულუმების მიხედვით შიძლება დავასკვნათ რომ პროექტული სწავლებისას  სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკარტოთან შესაბამისობაშია, შესაბამისად სასწავლო პროცესი ხორციელდება დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.<br><br>**რჩევა:** |

| | |
|---|---|
| | **ხელოვნების მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმში ყურადღება უნდა მიექცეს ცნებათა ნომერაციას.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი მოიცავს სამივე საფეხურს. კურიკულუმი გამართულია, მასში შეტანილია სამიზნე ცნებები, სასწავლო წლის განმავლობაში შესასწავლი თემები, ტექსტები, გაწერილი მრავალფეროვანი რესურსები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები.<br>ამ კომპონენტების სწორი შერჩევა და განაწილება, კათედრის წევრების მსჯელობა კურიკულუმის დანერგვასა და განვითარებაზე, მიუთითებს იმაზე, რომ კურიკულუმი არის დაგეგმილი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სკოლამ წარმოადგინა მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები I–XII კლასებისთვის, რომლებიც მოიცავს სამივე საფეხურს — დაწყებითს, საბაზოსა და საშუალოს. კურიკულუმები შედგენილია სასწავლო წლის შესაბამისად და მოიცავს თემებს, საკითხებს, კონტექსტ-მაგალითებსა და სასწავლო რესურსებს, რაც მიუთითებს სასწავლო პროცესის წინასწარ დაგეგმვაზე.<br><br>**რჩევა:**<br>**მიზანშეწონილია სკოლის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს, რომ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები რეალურად გამოიყენებოდეს სასწავლო პროცესის წარმართვისას და არა მხოლოდ დოკუმენტაციის მიზნით. ამისათვის, სასურველია, ადმინისტრაციამ პერიოდულად გადაამოწმოს, თუ რამდენად ეყრდნობა მასწავლებელი კურიკულუმს პრაქტიკაში.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | წარმოდგენილი დოკუმენაციიდან და გასაუბრების შედეგებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა, |

| | |
|---|---|
| | საგნობრივი სტანდარტები, სამიზნე ცნებები. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, ინტერესები და საჭიროებები. დაგეგმილი აქტივობები და გამოყენებული რესურსები მიზანმიმართულია კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე, როგორც თეორიული ცოდნის გააზრებაზე, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარებაზე.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნების სრული დაცვით. ანალიზის შედეგად იკვეთება შემდეგი: სასწავლო პროცესი მიყვება კურიკულუმით განსაზღვრულ თემატურ გეგმას. თითოეული კლასისთვის შერჩეული საკითხები (მაგ: პირობითი ნიშნები II კლასში, ვიზუალური პროგრამირება III-IV კლასებში და რთული ალგორითმები V-VI კლასებში) თანმიმდევრულად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ორიენტირებულია შუალედური სასწავლო მიზნების (კომპლექსური დავალებების) შესრულებაზე. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ თითოეული თემის ფარგლებში შერჩეულია კონკრეტული დავალების იდეა (მაგ: „ჩემი პირველი ანიმაცია Scratch-ში“, „საოცნებო უბნის ილუსტრაცია“), რაც უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ტრანსფერს. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას დაცულია კონსტრუქტივისტული პრინციპები. პროცესი აგებულია მოსწავლის წინარე ცოდნაზე, რაც ჩანს კურიკულუმში მოცემულ „კონტექსტ-მაგალითებში“. სწავლება მიმდინარეობს აქტიური შემოქმედებითი საქმიანობით, რაც დასტურდება მოსწავლეთა მიერ შექმნილი ციფრული პროდუქტებითა და მათი შეფასების რუბრიკებით. სწავლის პროცესში დაგეგმილია და რეალურად გამოიყენება კურიკულუმში მითითებული მრავალფეროვანი რესურსები: საგანმანათლებლო პორტალები (school.emis.ge), ვიზუალური პროგრამირების გარემო (Scratch, Code.org) და ღრუბლოვანი სერვისები (Office 365), რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. სასწავლო პროცესი სრულად შეესაბამება სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ პრიორიტეტებს. დაგეგმილი აქტივობები და კომპლექსური დავალებები ქმნის ლოგიკურ ჯაჭვს სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოსაყალიბებლად.<br><br>**რჩევა:** |

| | |
|---|---|
| | **სასწავლო პროცესის კიდევ უფრო მეტი ეფექტურობისთვის, მიზანშეწონილია გაძლიერდეს საგნობრივი ინტეგრაციის კომპონენტი (მაგ: ტექნოლოგიებისა და ხელოვნების ან მათემატიკის ერთობლივი პროექტები), რაც მოსწავლეებს დაეხმარება ტექნოლოგიური უნარების სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების მნიშვნელობის უკეთ გააზრებაში.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის, I-IV კლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება) სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. პედაგოგებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ სასწავლო პროცესის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება უნიკალურია და შესაბამისად გეგმავენ ცვლილებები შეიტანონ და უფრო მოქნილი გახადონ კურიკულუმები.<br>სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, დოკუმენტაციის და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

### 2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დირექციასთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ სასკოლო კურიკულუმი განვითარებაზე ორიენტირებული და დინამიკური დოკუმენტია. სასწავლო პროცესი სრულ შესაბამისობაშია კურიკულუმის მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების მიზანმიმართულ და თანმიმდევრულ განვითარებას ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების დაცვით.
კურიკულუმის დანერგვის ეტაპზე გამოვლენილი საჭიროებების შემთხვევაში, საგნის მასწავლებლები, კათედრასა და დირექციასთან შეთანხმებით, ახორციელებენ აუცილებელ ცვლილებებს საგნობრივ კურიკულუმებში. ეს მექანიზმი განაპირობებს სკოლის მოქნილ რეაგირებას გამოწვევებზე და სასწავლო პროცესის მუდმივ სრულყოფას.
სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რემედიაციის პროცესების აღმწერი დოკუმენტაცია და პედაგოგებთან გასაუბრებები ცხადყოფს, რომ სკოლას გააჩნია ადეკვატური მატერიალური და ადამიანური რესურსი სასწავლო პროცესში წამოჭრილი დაუგეგმავი გამოწვევების წარმატებით დასაძლევად.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. კათედრის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკები ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის. სკოლა შეფასებას სამი კომპონენტით ახორციელებს: საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი დავალებები. კათედრის ხელმძღვანელთან და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კათედრას აქვს მომავლის ხედვა, თუ როგორ უნდა მოახდინოს დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი.<br><br>**რჩევა:**<br>**სასურველია, ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება. სასურველია, შემუშავდეს შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს, ასევე, პერიოდულად მოხდეს შეფასების რუბრიკების რეაქტუალიზაცია სწავლების პრაქტიკიდან გამომდინარე და კათედრის წევრებთან ერთად განხილვა, რათა შეფასება კიდევ უფრო ინფორმატიული და ეფექტური გახდეს მოსწავლეთა პროგრესის შესაფასებლად.**<br><br>**სასურველია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტში დაკონკრეტდეს რომელი საგნის და რომელი კლასის ვერიფიკაცია ხორციელდება, ასავე, რა პროცედურებს მიმართავს სკოლა, თუ არ სრულდება ვერიფიკაცია.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ შეფასების სისტემაში შეფასების პრინციპები სათანადოდ არის ინტეგრირებული სასწავლო პროცესში. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შემუშავებულია მიზნობრივად. კრიტერიუმები მიზნობრივად არის გაწერილი და საგნობრივი სტანდარტის შედეგებთან შესაბამისობაშია.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | შეფასების სისტება არის ვალიდული, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური, სამართლიანი. წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი, განმავითარებელი), |

| | |
|---|---|
| | თვითშეფასებისა და ურთიერთ შეფასების რუბრიკები. სკოლაში დამკვიდრებულია მასწავლებელთა მიერ ურთიერთდასწრების კულტურა.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში, სადაც წარმოდგენილია მუსიკისა და ხელოვნების **დაწყებითი** და **საბაზო** საფეხურის ზოგადი განმავითარებელი შეფასების და განმსაზღვრელი რუბრიკები, თვითშფასების დოკუმენტი და ვერიფიკაციის დოკუმენტი, ასევე მასწავლებლებთან საუბრის დროს ნათალად ჩანს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან შეფასების რებურიკებს, ასევე მათ ინდივიდუალურად ეძლევათ განმავითარებელი შეფასების დროს კომენტარები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე.<br>ასევე, **საშუალო** საფეხურზე კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებისა და სადიაგნოსტიკო შფასებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო და ობიექტური.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკებით.<br>სკოლაში შემუშავებულია და დამტკიცებულია შეფასების ვერიფიკაციის წესი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა შეფასების დაგეგმვის, განხორციელების პროცესისა და მტკიცებულებების შემოწმებასა და დასკვნის შემუშავებას. ვერიფიკაციის წესის მიხედვით შეფასება ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალეობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები XI კლასის მათემატიკაში სტრუქტურულად პასუხობს შეფასების ძირითად პრინციპებს — |

| | |
|---|---|
| | განსაზღვრულია შეფასების კრიტერიუმები და ქულები, რაც შეფასებას გამჭვირვალეს და მოსწავლისთვის გასაგებს ხდის. განმსაზღვრელ რუბრიკაში მითითებულია კონკრეტული შეფასების კრიტერიუმები სამიზნე ცნებების მიხედვით, რაც ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპს ემსახურება.<br>თუმცა დოკუმენტაცია წარმოდგენილია მცირე რაოდენობით, რაც არ იძლევა იმის შეფასების საშუალებას, თუ რამდენად სისტემური და თანმიმდევრულია შეფასება სხვა კლასებსა და საფეხურებზე. ამასთანავე, ნაწილობრივ ჩანს მოსწავლეებისთვის შეფასების კრიტერიუმების წინასწარ გაცნობის პრაქტიკა.<br>**რჩევა:**<br>**მიზანშეწონილია შეფასების რუბრიკები შემუშავდეს ყველა კლასისა და თემებისთვის, რათა შეფასების სისტემა სკოლაში თანმიმდევრული და სისტემური იყოს. ასევე სასურველია, შეფასების კრიტერიუმები ყველა კლასის, ყველა მოსწავლეს თემის დაწყებამდე გაეცნოთ - ეს პრაქტიკა შეფასებას უფრო გამჭვირვალეს და სამართლიანს გახდის.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | სამივე საფეხურის შემუშავებული შეფასების რუბრიკებიდან და გასაუბრებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების რუბრიკები წინასწარ არის განსაზღვრული და ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის, რაც ეხმარება მათ საკუთარი მიღწევების გააზრებაში.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის მაგალითზე დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობისა და ობიექტურობის პრინციპებს. აღნიშნული დასტურდება შემდეგი გარემოებებით: შეფასების სისტემა პირდაპირ ზომავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს. წარმოდგენილი რუბრიკები მკაფიოდ მიემართება კონკრეტულ სამიზნე ცნებებს - „ინფორმაცია“ და „ალგორითმი“. შეფასების კრიტერიუმები ვალიდურია, რადგან ისინი აფასებენ ზუსტად იმ უნარ-ჩვევებს, რაც კომპლექსური დავალების მიზნით იყო განსაზღვრული. შეფასების რუბრიკები აჩვენებს, რომ მასწავლებელი იყენებს |

| | |
|---|---|
| | კონსტრუქტივისტულ უკუკავშირს. კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში ჩამოყალიბებული შეფასების პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებთან. სისტემა არის გამჭვირვალე და ობიექტური, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებას.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის, I-IV კლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება) მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკებით. სკოლაში შემუშავებულია და დამტკიცებულია შეფასების ვერიფიკაციის წესი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა შეფასების დაგეგმვის, განხორციელების პროცესისა და მტკიცებულებების შემოწმებასა და დასკვნის შემუშავებას. ვერიფიკაციის წესის მიხედვით შეფასება ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალეობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას. დაწყებითი საფეხურის, I-IV კლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), საგნობრივ კათედრებზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. კათედრებზე აქტიურად ხდება მასწავლებლებს შორის სასწავლო რესურსების ვალიდურობის გაზომვა, მისი მოდიფიცირება და განახლება.<br>სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.<br>სკოლაში არსებობს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს ინფორმაციას: შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების, მიზანის და ამოცანების, პრინციპების, მიმართულებების, შეფასების სისტემის, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირების და განხორციელების სიხშირეს შესახებ.<br>წარმოდგენილი „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმების" დოკუმენტის შესწავლისას სკოლას ეძლევა **რჩევა:**<br>**„შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის" დოკუმენტში სრულყოფილების მიზნით გაჩნდეს ჩანაწერი/მუხლი ვერიფიკაციის დასკვნის შესახებ, სადაც გაწერილი იქნება უნიფიცირებული (ერთიანი) დასკვნის ფორმა (დანართის სახით), ფორმაში მითითებული იქნება დოკუმენტის სათაური, რომელი საგნის და კლასის ვერიფიკაცია განხორციელდება, ვერიფიკატორების სახელები, გვარები და სხვა ინფორმაცია, ამის გარდა ამავე მუხლში უნდა** |

| | |
|---|---|
| | **იყოს ჩანაწერი იმის თაობაზე, თუ რა პროცედურები ხორციელდება იმ შემთხვევაში, როცა ვერიფიკაციის გადაწყვეტილება იქნება ნაწილობრივი ან შეუსაბამო, ვის დაევალება საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა, ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ, მისი შესრულების მონიტორინგი. სასურველია, ვერიფიკაციის პროცესში ჩართული იყოს სკოლის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

**4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

ვერიფიკაცია წარმოადგენს სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილს. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დეტალურად არის გაწერილი ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები, რაც საფუძველს უქმნის სკოლაში შეფასების პროცესის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. ვერიფიკაციის მექანიზმები ითვალისწინებს, როგორც განმავითარებელი და შემაჯამებელი შეფასების სხვადასხვა ფორმის კონტროლს, ასევე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტებისა და კრიტერიუმების ვალიდაციას. პროცესის ობიექტურობის უზრუნველსაყოფად, ყოველწლიურად ხორციელდება მონიტორინგი, მოსწავლეთა ნამუშევრების საფუძველზე. პროცესის ეფექტიანი ადმინისტრირებისთვის სკოლამ პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრა საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები. გარდა ამისა, სკოლა უზრუნველყოფს ვერიფიკაციასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების შენახვას მინიმუმ სამი წლის ვადით, რაც აუცილებელია პროცესის გამჭვირვალობისა და შემდგომი ანალიზისთვის. სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი მეთოდოლოგიურად გამართულია და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.
წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრებების შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლა ადასტურებს სრულ მზადყოფნას შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლა ზედმიწევნით იცავს დოკუმენტბრუნვის წარმოებისა და საარქივო საქმის შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლის მიერ დადგენილ შეფასების სისტემაში მკაფიოდ არის განსაზღვრული მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოებისა და პროექტების შენახვის წესი, რაც ითვალისწინებს როგორც

მატერიალურ, ისე ელექტრონულ ფორმატს. სკოლის არქივში, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით, სათანადოდ არის აღრიცხული და დაცული შეფასებასთან დაკავშირებული ყველა რელევანტური ინფორმაცია, მონაცემი და მტკიცებულება. მათ შორის: საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები, აქტივობები და შეფასების რუბრიკები.
სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით, ხოლო ელექტრონული ჟურნალი კი იძლევა მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გრძელვადიანი არქივირების შესაძლებლობას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2024-2025 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის მეთოდოლოგია;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სამოქმედო გეგმა;
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი ნამუშევრები (კომპლექსური დავალებები;
- შემაჯამებელი დავალების საფუძველზე ნაწარმოები დიაგნოსტირება;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ინდ. სასწავლო გეგმის ნიმუში.

### 2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლა კურიკულუმით განსაზღვრული რესურსების სახით ძირითადად იყენებს სახელმძღვანელოს, ელ. რესურსებს, ასევე, საბუნებისმეტყველო საგნებში არის პლაკატები.<br><br>**რჩევა:**<br>**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, სასურველია, იყოს მეტად მრავალფეროვანი.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა (საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, სხვა რესურსები, წვდომა ინტერნეტთან).<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სკოლაში საგაკვეთილო პროცესებში გამოიყენება ის ძირითადი და დმახმარე რესურსი რაც კურიკულუმის მიხედვით არის გაწერილი.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | მუსიკასა და ხელოვნებაში სკოლის მიერ გამოყენებული **დაწყებითი და საბაზო საფეხურის** ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება და ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მასალის გააზრებაში. კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს საფეხურების ფარგლებში |

| | |
|---|---|
| | სტანდარტებით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი კანონმდებლობით დადგენილი წესით გრიფირებულია. მიუხედავად ამისა, კურიკულუმების ნაწილი დამატებით ითხოვს რესურების შევსებას და მის გამრავალფეროვნებას, მაგალითად, ასახული უნდა იყოს ბეჭდური და ელექტრონული წყაროები, ვიდეო და ფოტო მასალები ან საკუთარი ხელით დამზადებული სახალისო და საინტერესო განმავითარებელი რესურსები.<br><br>თავდაპირველად, ვიზიტის ეტაპზე საშუალო საფეხურზე სკოლამ ვერ წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩო მუსიკასა და ხელოვნებაში, ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა ისაუბრეს პროექტების განხორციელების ფარგლებში გამოყენებულ რესურსებზე, რის შედეგადაც კურიკულუმის ექსპერტმა ითხოვა ვიზიტის დასრულებამდე მუსკასა და ხელოვნებაში კურიკულუმების გამოგზავნა. თუმცა, არ ყოფილა წარმოდგენილი ვიზიტის ფარგლებში, რის გამოც დადგინდა ხარვეზი.<br><br>მოგვიანებით, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულების მიერ მტკიცებულებებით წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივი (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმების მიხედვით შიძლება დავასკვნათ რომ პროექტული სწავლებისას გამოიყენება ის ძირითადი და დამხმარე რესურსები რაც კურიკულუმის მიხედვით არის გაწერილი.<br><br>**რჩევა:**<br>**სასურველოია, ხელოვნების კურიკულუმში მეტად აისახოს სწავლაა-სწავლების პროცესში გამოყენებული რესურსები. მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე მასწავლებელმა თავადაც შექმნას ვიზუალური სახალისო თუ შემოქმედებითი რესურსები.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის კათედრაზე წარმოდგენილ კურიკულუმების უმეტესობაში შეტანილია, როგორც ძირითადი რესურსები გრიფირებული სახელმძღვანელოების სახით, ისე დამატებით ვიდეო თუ აუდიო ინტერნეტრესურსები. ასევე დამხმარე ტექსტები ონლაინრესურსების სახით. გასაუბრებისას პედაგოგებმა დაასახელეს არაერთი რესურსი, რომლებსაც წარმატებით იყენებენ სასურველი შედეგის მისაღწევად, მაგალითად: ტექსტების მიხედვით გადაღებულ ფილმებს, აუდიოტექსტებს, ონლაინსავარჯიშოებს გრამატიკაში. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:**<br>**ამ კუთხით შესავსებია VII და XI კლასების კურიკულუმები, რომლებშიც მითითებულია მხოლოდ ძირითადი რესურსი-სახელმძღვანელო. სასურველია, კათედრამ იმუშაოს რესურსების გამრავალფეროვნებაზე აღნიშნულ კლასებშიც და კურიკულუმებში შეიტანოს დამატებითი რესურსები.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | კურიკულუმებში მითითებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები: სახელმძღვანელოები, GeoGebra, Desmos და Khan Academy. ზოგიერთგან რესურსების ჩამონათვალი ზოგადია (როგორც ზემოთ აღინიშნა ექსპერტმა), თუმცა გასაუბრებისას პედაგოგებმა მოიყვანეს რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ იყენებენ კონკრეტულ რესურსს კონკრეტული აქტივობის განხორციელებისას (მაგ.GeoGebra-ს და Desmos-ს გრაფიკების ასაგებად და ა.შ.).<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე ეწარმოდგენილია როგორც გრიფირებული, ასევე არაგრიფირებული, თუმცა თემატურად შესაბამისი და სასწავლო მიზნებთან თანხვედრილი რესურსები. გრიფირებული სახელმძღვანელოები გამოიყენება, როგორც ძირითადი სასწავლო რესურსი და უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო საკითხებისა და შედეგების სისტემურ წარმოდგენას. ამასთანავე, სასწავლო პროცესში გამოყენებული დამატებითი, არაგრიფირებული წიგნები, რომლებიც თემის უკეთ გააზრებასა და საკითხის მრავალმხრივ განხილვას უწყობს ხელს.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სასწავლო პროცესი სრულად არის უზრუნველყოფილი კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსებით. სწავლება ეფუძნება რესურსებზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც დასტურდება შემდეგით: აქტიურად გამოიყენება school.emis.ge და Scratch. ინტეგრირებულია მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული რესურსები: Paint 3D, „ვსწავლობთ თამაშით", Code.org და Microsoft Office 365. მასწავლებელი იყენებს საკუთარ ციფრულ |

| | |
|---|---|
| | ნიმუშებსა და მულტიმედიურ რესურსებს კომპლექსური დავალებების მხარდასაჭერად. გამოყენებული რესურსები ვალიდურია, შეესაბამება სასწავლო მიზნებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლის მიერ გამოყენებული **დაწყებითი საფეხურის** ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მასალის გააზრებაში. კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს საფეხურების ფარგლებში სტანდარტებით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი კანონმდებლობით დადგენილი წესით გრიფირებულია. მიუხედავად ამისა, კურიკულუმების ნაწილი დამატებით ითხოვს რესურების შევსებას და მის გამრავალფეროვნებას, მაგალითად, ასახული უნდა იყოს ბეჭდური და ელექტრონული წყაროები, ვიდეო და ფოტო მასალები, სადემონსტრაციო ვიდეო ექსპერიმენტი, საგანმანათლებლო პლატფორმების რესურსები / ინტერაქტიული სიმულაციები რესურსები, სპეციალურად შექმნილი მასწავლებლების რესურსები, მაგალითად, პრეზინტაციები, მოკლე თემატური რიდერები, სპეციალურად შექმნილი დიდაქტიკური მასალები (ცხრილები, გრაფიკული ხელსაწყოები), მეთოდური მითითებები, პრაქტიკული ან ლაბორატორიული სამუშაოების თანდართული დოკუმენტები (პროტოკოლები, ინსტრუქციები) და ა.შ.<br><br>**სკოლას ეძლევა რჩევა:**<br>**დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შეივსოს მრავალფეროვანი დამატებითი რესურსებით. მაგალითად, კონკრეტული ბეჭდური და ელექტრონული, ვიდეო და ინტერნეტ რესურსები, საგანმანათლებლო პლატფორმის სიმულაციები, მასწავლებლის მიერ სპეციალურად შექმნილი რესურსები და ა.შ. აგრეთვე, განიხილონ რესურსების ბიბლიოგრაფიული გაფორმების ერთიანი მიდგომა.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

**2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლას აქვს დამხმარე ელექტრონული რესურსების ვალიდაციის მექანიზმი. დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე შეთანხმებულად, მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე ორიენტირებით, გათვალისწინებულია რესურსების სანდოობა და მიზნობრიობა.<br><br>**რჩევა:**<br>**სასურველია რესურსების შერჩევის პროცესში პერიოდულად გამოიყენონ მოსწავლეთა უკუკავშირი, რათა უფრო ზუსტად განისაზღვროს მათ საჭიროებებზე ორიენტირებული მასალა და დაინერგოს მრავალფეროვანი, აქტუალური რესურსების გამოყენება.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კათედრის მიერ წარმოდგენილი N1 ოქმისა და კათედრის სამოქმედო გეგმის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას: სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში განიხილება იმ დამატებით რესურთა სწავლების ეფექტიანობა-შესაბამისობის შეფასება, რომელთა გაწერაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში.<br>**რჩევა:**<br>**დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული ელექტრონული რესურსები, სასურველია, წინასწარ შემოწმდეს.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსის ვალიდაციას.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | **სკოლა უზრუნველყოფს დაწყებითი** I-IV კლასების და **საბაზო** საფეხურის (მუსიკა და ხელოვნება), საგნობრივ კათედრებზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას.<br>დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე, გამოიყენება მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. |

| | |
|---|---|
| | **საშუალო** საფეხურზე სკოლას ვიზიტის ფარგლებში არ ჰქონდა წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, შესაბამისად, ვერ შეფასდა ინდიკატორთან შესაბამისობა და დადგინდა ხარვეზი.<br>მოგვიანებით, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ უზრუნველყო დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენა, რის საფუძველზეც შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის შეფასება.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | დამხმარე რესურსები, რომლებიც პედაგოგებმა შეარჩიეს და კურიკულუმებში შეიტანეს, ვალიდურია.<br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | დოკუმენტურად არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, თუ როგორ შეირჩა დამხმარე რესურსები. თუმცა ისინი რაც პედაგოგებმა შეარჩიეს და კურიკულუმებში შეიტანეს, გადამოწმებულია საგნობრივი ექსპერტის მიერ და მათი ვალიდურობა დასტურდება.<br>**რჩევა:**<br>**სკოლის სასწავლო გეგმაში მიეთითოს ან ცალკე დოკუმენტში აღიწეროს, რომ რესურსების შერჩევა ხდება გუნდურად ან პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | სკოლაში არსებული და გამოყენებული დამხმარე რესურსების, სპორტული ინვენტარის ვალიდაცია ხდება კათედრის ფარგლებში თანამშრომლობით.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში დამხმარე რესურსების შერჩევა და ვალიდაცია ხორციელდება შინაარსობრივი და ტექნიკური გამართულობის პრინციპით. პროცესის ანალიზი აჩვენებს შემდეგს: კურიკულუმში ინტეგრირებული დამხმარე პლატფორმები (მაგ: Code.org, Paint 3D) ვალიდირებულია მასწავლებლის მიერ მათი ფუნქციური დატვირთვის |

| | |
|---|---|
| | მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. მასწავლებელი თავად ქმნის და იყენებს დამხმარე ვიზუალურ მასალებს. ეს რესურსები მორგებულია მოსწავლეთა ტექნოლოგიურ მზაობასა და სკოლის კომპიუტერულ ინფრასტრუქტურას. საგნობრივ კათედრაზე ხდება ციფრული რესურსების (ბმულები, საგანმანათლებლო პროგრამები) გაზიარება და მათი ეფექტურობის ანალიზი. აღნიშნული დასტურდება კურიკულუმებში მითითებული რესურსების მრავალფეროვნებითა და მასწავლებელთან ინტერვიუს დროს, რაც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.<br><br>**რჩევა:**<br>**სასურველია, კომპიუტერული ტექნოლოგიების ფარგლებში, სკოლამ/კათედრამ შექმნას „ციფრული რესურსების ვალიდაციის ელექტრონული ჟურნალი/ბაზა". მასში მასწავლებლები ასახავენ გამოყენებულ ონლაინ პლატფორმების, პროგრამებისა თუ ბმულების მოკლე ტექნიკურ და შინაარსობრივ შეფასებას (მაგ: ინტერნეტის საჭიროება, რეგისტრაციის მოთხოვნა, სირთულის დონე). ეს დაეხმარება სკოლას, დროულად მოახდინოს მოძველებული ან ტექნიკურად შეუსაბამო რესურსების იდენტიფიცირება და ჩანაცვლება ახალი, უფრო ეფექტური ინსტრუმენტებით.**<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლა უზრუნველყოფს დაწყებითი საფეხურის, I-IV კლასების (მათემატიკა, ქართული, ბუნება), საგნობრივ კათედრებზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. კათედრებზე აქტიურად ხდება მასწავლებლებს შორის სასწავლო რესურსების ვალიდურობის გაზომვა, მისი მოდიფიცირება და განახლება. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს.<br><br>**დაწესებულებას ეძლევა რჩევა:**<br>**სკოლამ ან კათედრამ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შეიმუშაოს უკუკავშირის მექანიზმი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისგან დამატებითი რესურსების გამოყენების შესახებ, რათა მოხდეს პრობლემის დროულად იდენტიფიცირება და გაუმჯობესება.** |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

**3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე შეთანხმებულად, მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე ორიენტირებით, გათვალისწინებულია რესურსების სანდოობა და მიზნობრიობა.<br><br>ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან ვიზიტის ფარგლებში გაიცა რჩევა: სასურველია, რესურსების შერჩევის პროცესში პერიოდულად გამოიყენონ მოსწავლეთა უკუკავშირი, რათა უფრო ზუსტად განისაზღვროს მათ საჭიროებებზე ორიენტირებული მასალა და დაინერგოს მრავალფეროვანი, აქტუალური რესურსების გამოყენება. სასურველია რესურსების შერჩევა მოხდეს თემატური მიზნების შესაბამისად და რეგულარულად განახლდეს ახალი, აქტუალური, მრავალფეროვანი მასალებით.<br><br>ვიზიტის ფარგლებში საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმზე ასევე დადგინდა ხარვეზი:<br>სკოლას არ აქვს ლაბორატორია. განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურზე ექსპერიმენტული ნაწილი მნიშვნელოვანია სრულყოფილი სასწავლო რეჟიმის განხორციელებისა და კურიკულუმით განსაზღვრული შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელად, რაც ხელს შეუწყობს საბუნებისმეტყველო საგნებისადმი ინტერესის გაზრდას და შემოქმედებითი პროდუქტების მრავალფეროვან არჩევანს. |

| | |
|---|---|
| | დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა, რომლითაც დგინდება, რომ დაწესებულება საკუთარ თავს აფასებს როგორც მეტწილად შესაბამისს ინდიკატორის მოთხოვნებთან და 2027 წლის აპრილის ჩათვლით დაგეგმილია სასწავლო პროცესის ლაბორატორიით უზრუნველყოფა. ასევე წარმოდგენილია<br>სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითრების დეპარტამენტის წერილი და ხარჯთაღრიცხვა (დანართი N4. სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების წერილი სკოლას . დანართი N5. ხარჯთაღრიცხვა).<br><br>წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა, რის საფუძველზეც შეიცვალა დასკვნის პროექტში დაფიქსირებული შეფასება და გაიცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიის მოწყობა და აღჭურვა.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.<br>სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა (საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები, წიგნადი ფონდი, სხვა რესურსები, წვდომა ინტერნეტთან).<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით კურუკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | მუსიკასა და ხელოვნებაში სკოლის მიერ გამოყენებული **დაწყებითი და საბაზო საფეხურის** ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება და ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მასალის გააზრებაში. კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს საფეხურების ფარგლებში სტანდარტებით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი კანონმდებლობით დადგენილი წესით გრიფირებულია. მიუხედავად ამისა, კურიკულუმების ნაწილი დამატებით ითხოვს რესურების შევსებას და მის გამრავალფეროვნებას, მაგალითად, ასახული უნდა იყოს ბეჭდური და ელექტრონული წყაროები, ვიდეო და ფოტო მასალები ან საკუთარი ხელით დამზადებული სახალისო და საინტერესო განმავითარებელი რესურსები.<br><br>თავდაპირველად, ვიზიტის ეტაპზე საშუალო საფეხურზე სკოლამ ვერ წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩო მუსიკასა და ხელოვნებაში, ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა ისაუბრეს პროექტების განხორციელების ფარგლებში გამოყენებულ რესურსებზე, რის შედეგადაც კურიკულუმის ექსპერტმა ითხოვა ვიზიტის დასრულებამდე მუსკასა და ხელოვნებაში კურიკულუმების გამოგზავნა. რადგან არ იქნა დოკუმენტაცია მოწოდებული ვიზიტის ფარგლებში, დადგინდა ხარვეზი.<br>მოგვიანებით არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულების მიერ მტკიცებულებებით წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივი (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმების მიხედვით შიძლება დავასკვნათ რომ პროექტული სწავლებისას გამოიყენება ის ძირითადი და დამხმარე რესურსები რაც კურიკულუმის მიხედვით არის გაწერილი.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | ზოგიერთ კურიკულუმში და კომპლექსური დავალების ბარათებში ჩანს, რომ ზოგი აქტივობა ითხოვს გარკვეული მასალების ან ტექნიკის გამოყენებას (მაგალითად, საზომი სახაზავი, დაფა, კომპიუტერი). პედაგოგების თქმით, სკოლის მხრიდან ამ ნივთების მიწოდება უზრუნველყოფლია და აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა სრულად პასუხობს საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს. სასწავლო გარემო მოწყობილია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ფიზიკურ განვითარებასა და პიროვნულ ზრდას.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლისა და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა გარანტირებულია ადეკვატური მატერიალური და ციფრული რესურსებით. ინტერვიუების დროს ხაზი გაესვა ვირტუალური ლაბორატორიებისა და სიმულაციების (მაგ: Code.org) აქტიურ გამოყენებას. მასწავლებლები ეფექტურად იყენებენ ვიდეო ექსპერიმენტებსა და ციფრულ სადემონსტრაციო მასალებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალგორითმული აზროვნებისა და კომპიუტერის აგებულების სწავლებისას. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, გამოიყენონ სკოლის ტექნიკური ბაზა არა მხოლოდ საგაკვეთილო, არამედ შემოქმედებითი პროექტების (მაგ: ანიმაციების შექმნა, პრეზენტაციების მომზადება) განსახორციელებლად. ეს უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას „კეთებით სწავლების“ პრინციპით.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, საკლასო ოთახები მოწესრიგებულია და სასკოლო აქტივობებისათვის აუცილებელი რესურსებით არის აღჭურვილი. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები. პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შესაძლებელია მარტივი ექსპერიმენტების ჩატარება, ასევე არის |

| | |
|---|---|
| | სადემონსტრაციო პლაკატები, მულაჟები და სხვა ვიზუალური საშუალებები. **დაწყებითი საფეხურის** მასწავლებლები გაკვეთილებზე იყენებენ ვირტუალური ლაბორატორიების საშუალებებს და ანხორციელებენ ვიდეო ექსპერიმენტების ჩანაწერებს, რაც უზრუნველყობს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.** |

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. სკოლაში დასაქმებულია 24 პედაგოგი, მათ შორის: 18 - უფროსი, 5 - წამყვანი 1 - უფროსი სპეციალური მასწავლებელი. სკოლას არ ჰყავს სტატუსის არმქონე მასწავლებელი.
როგორც ინტერვიუთი დადგინდა, კათედრის წევრი მასწავლებლები თიერთთანამშრომლობენ კურიკულუმის შემუშავება-განხორციელებისას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკის ნიმუშები;
- კომპექსური დავალების ბარათები;
- ინდ. სასწავლო გეგმის ნიმუში;
- კათედრის ოქმები;
- კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები;
- პროექტები და მოსწავლეთა ნამუშევრები;

- ურთიერთდასწრების ფორმა;
- ვერიფიკაციის მექანიზმის ამსახველი დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლის „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში" აღწერილია სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების საკითხები. სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი გარემო. დირექციასთან ერთად მონიტორინგის პროცესში ჩართულია ხარისხის მართვის ჯგუფი. კათედრებზე პედაგოგები გეგმავენ გაკვეთილებს, საგნის მასწავლებლები ურთიერთდასწრების დროს ერთმანეთს უწევენ მონიტორინგს, აფასებენ გაკვეთილის ყველა აქტივობას. მათი ფუნქციები, უმეტესწილად, მიმართულია მასწავლებლების მხარდაჭერაზე, როგორც საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების, ასევე კურიკულუმით გათვალისწინებული მეთოთოლოგიის დანერგვის კუთხით. მოსწავლეთა შედეგებს საგნის მასწავლებლები ერთობლივად განიხილავენ და ადგენენ გასაუმჯობესებელ მიმართულებებს.
ყოველი სემეტრის ბოლოს, კლასის დამრიგებლები, კათედრის ხელმძღვანელები და საგნის მასწავლებლები პედაგოგიური საბჭოს წარუდგენენ შემაჯამებელ ანგარიშს. მასწავლებლები მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებენ კურიკულუმებში მოცემული შემოქმედებითი დავალებების მიხედვით. მონაცემების შეგროვება ეხმარება პედაგოგებს გაიაზრონ რამდენად ეფექტური იყო დაგეგმილი სასწავლო პროცესი. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის" შესაბამისად, მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესში წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის ოპტიმალური გზების განსაზღვრის ფუნდამენტურ მექანიზმს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების უწყვეტი, ციკლური პროცესი ეფუძნება წინა წლების მონაცემთა სისტემურ ანალიზს. მონიტორინგის ფუნქციაა დაადგინოს, მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად, ხოლო შეფასება ამოწმებს განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობას სასურველი შედეგების მიღწევაში.
დანერგვის პროცესზე უწყვეტი დაკვირვება და მონაცემთა შეგროვება ხორციელდება პედაგოგების მიერ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. მიღებული ინფორმაცია მუშავდება და ანალიზდება საგნობრივი კათედრების სხდომებზე. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე ხდება კონკრეტული გამოწვევების გადასაჭრელად ინოვაციების დანერგვის მიზანშეწონილობის

განხილვა. პროცესის სრულყოფისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გამოვლენილი საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასა და გათვალისწინებას.
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია განსაზღვრავს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით რეკომენდაციების მომზადების წესს, რაც მიზნად ისახავს კურიკულუმის ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სისტემურ პროცესს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მონაცემთა შეგროვება, არსებული ვითარების ანალიზი, გამოწვევების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის ოპტიმალური გზების შემუშავება. ამ პროცესის შემაჯამებელ ანალიზში ვლინდება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, დგინდება ხელისშემშლელი ფაქტორები და იგეგმება შესაბამისი ცვლილებები კურიკულუმის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მასწავლებლებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში ფუნქციონირებს მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. მისი ძირითადი დანიშნულებაა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება, რაც საფუძველს უქმნის სამომავლო პროცესების ეფექტიან დაგეგმვას. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის აქტიურ ჩართულობას, რაც განაპირობებს წარმატებული პრაქტიკის გათვალისწინებასა და პრობლემების ოპტიმალური გადაჭრის გზების ძიებას. სხვადასხვა კათედრის წევრებთან გასაუბრებამ და წარმოდგენილმა დოკუმენტებმა აჩვენა, რომ სკოლაში ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დასწრება, უკუკავშირის მიცემა და გაცემული რეკომენდაციების შესრულება. ამასთანავე, პედაგოგები რეგულარულად ახდენენ საკუთარი საქმიანობის რეფლექსიას.
აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრები. იკვეთება, რომ კათედრები საფეხურებისა და კლასების მიხედვით ერთმანეთს უზიარებენ დანერგილ გამოცდილებას, რაც ხელს უწყობს მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებას და გამოხატავს კოლეგიალურ მხარდაჭერას.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კათედრის ოქმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფასების სისტემა ეფუძნება კომპლექსურ და ჰოლისტურ მიდგომას. სასწავლო პროცესში ინტეგრირებულად გამოიყენება, როგორც განმავითარებელი (მათ შორის სიტყვიერი უკუკავშირი), ისე განმსაზღვრელი შეფასება. თემატური შეფასების შედეგები კი წარმოადგენს მოსწავლეთა მიღწევების სისტემური ანალიზის საფუძველს. მოსწავლის აკადემიური, პიროვნული და ფსიქო-ემოციური განვითარების დინამიკის, აგრეთვე კრიტიკული აზროვნებისა და კრეატიული უნარების შესაფასებლად, საგნობრივი კათედრები იყენებენ მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. მათ შორისაა შეფასების რუბრიკები, შემოქმედებითი დავალებები, პროექტები, ჯგუფური მუშაობის ფორმატები და მოსწავლეთა თვითშეფასებისა თუ ურთიერთშეფასების მექანიზმები.
აღსანიშნავია, რომ შეფასების პროცესში აქტიურად არის ჩართული მთლიანი სასკოლო საზოგადოება: პედაგოგები, მოსწავლეები, მშობლები და დირექცია, რაც ასევე დადასტურდა დაინტერესებულ მხარეებთან გამართული გასაუბრებებით.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, შეფასება განიხილება როგორც სწავლა–სწავლების ხარისხის მართვის ფუნდამენტური სისტემა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ შეფასების პროცესი ხორციელდება მრავალგანზომილებიანი კონტექსტის გათვალისწინებით. კერძოდ, მოსწავლის აკადემიურ მიღწევებთან ერთად, ანალიზდება საგნობრივი სტანდარტები, სასკოლო პროგრამა, სასწავლო გარემო, არსებული რესურსები და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები. მოსწავლეთა მიღწევების ობიექტური წარმოჩენის მიზნით, სკოლა იყენებს შეფასების მრავალფეროვან ფორმებს, როგორებიცაა: ესე, პროექტი, ლაბორატორიული კვლევა, პრეზენტაცია, დისკუსია და ა.შ. აღნიშნული მიდგომა სკოლას საშუალებას აძლევს, განსხვავებული ინტერესებისა და უნარების მქონე მოსწავლეებს მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი. პროცესის მოქნილობის უზრუნველსაყოფად, გათვალისწინებულია გაცდენილი დავალებების ალტერნატიული გზებით შესრულების შესაძლებლობაც. სწავლა–სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისათვის, მასწავლებლები გეგმავენ ინდივიდუალურ შეხვედრებს მოსწავლეებთან. ეს შეხვედრები ემსახურება გამოვლენილი სირთულეების იდენტიფიცირებას და შესაბამისი რემედიაციის/ალტერნატიული გზების შეთავაზებას. დოკუმენტი ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება და სასწავლო პროცესის ადაპტაცია. ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ შეფასების სისტემა არის დიფერენცირებული და ორიენტირებულია სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროებებზე მორგებაზე.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და განვითარების შესაფასებლად გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი, კომპლექსური მეთოდები. სასწავლო პროცესში პედაგოგები აქტიურად ეყრდნობიან, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებსა და შემაჯამებელი ანალიზის ფორმებს. შეფასების პროცესი მოიცავს მოსწავლეთა მიერ შესრულებული სხვადასხვა ტიპის ნამუშევრების ანალიზს, მათ შორის შემოქმედებით დავალებებს, წერილობით სამუშაოებს, დღიურებსა და პოსტერებს. ამასთანავე, ყოველდღიური საგანმანათლებლო საქმიანობის განუყოფელი ნაწილია მასწავლებლის მხრიდან სისტემური დაკვირვება, ინტერაქციული საუბრები და კონსტრუქციული უკუკავშირი. აღნიშნული ინტეგრირებული მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლეთა სააზროვნო უნარებისა და საგნობრივი ცოდნის დროთა განმავლობაში განვითარების დინამიკის ობიექტურ ასახვასა და მონიტორინგს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასების პროცესი ეფუძნება ჰოლისტურ და მრავალგანზომილებიან მიდგომას. პედაგოგები ფოკუსირდებიან არა მხოლოდ აკადემიურ მიღწევებზე, არამედ კომპლექსურად განიხილავენ მოსწავლის პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ კონტექსტს. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში, შეფასება ორიენტირებულია, როგორც საბოლოო შედეგზე, ისე უშუალოდ სწავლის პროცესზე, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებისა და პოტენციალის სრულფასოვან გამოვლენას. ამ მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შედგენა. ეს პროცესი გულისხმობს სხვადასხვა ფუნქციური უნარის დიაგნოსტირებასა და მათზე მოქმედი ფაქტორების იდენტიფიცირებას, რაც შეფასებას მაქსიმალურად ინდივიდუალურს ხდის და ასახავს მოსწავლის განვითარების დონის სრულ სურათს.

სკოლის მცირეკონტიგენტიანი სპეციფიკა ხელს უწყობს აღნიშნული პროცესების ეფექტურ წარმართვასა და შესაძლო რისკების მინიმიზაციას. სკოლას გააჩნია მყარი გამოცდილება შეფასების პროცესში მრავალფეროვანი პარამეტრების გათვალისწინების კუთხით. კერძოდ, საგნის მასწავლებლები და დამრიგებლები სისტემურად აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს, აგრეთვე აკვირდებიან გარემო ფაქტორების (ოჯახი, კულტურული ტრადიციები, თემი, ფასეულობები) გავლენას სასწავლო შედეგებზე. მოცემული კომპლექსური მიდგომა მნიშვნელოვნად ზრდის შეფასების ვალიდურობასა და სანდოობას, ხელს უწყობს მოსწავლის პროგრესის სიღრმისეულ ანალიზს და ქმნის მყარ საფუძველს მიზანმიმართული პედაგოგიური ინტერვენციების დაგეგმვისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმები;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

### 2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ შემუშავებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც არეგულირებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და მხარდაჭერის მექანიზმებს. აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე, სკოლა უზრუნველყოფს მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტს, რაც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების პროცესში საგნობრივი კათედრების აქტიურ ჩართულობას და მოსწავლეებისა თუ მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას. კათედრების დონეზე ხდება სწავლა-სწავლების მიზნების, მეთოდებისა და სტრატეგიების საფუძვლიანი ანალიზი და განხილვა. პედაგოგები ამგვარად მიღებულ გამოცდილებასა და პრაქტიკას ეფექტიანად იყენებენ მომავალი სასწავლო წლისთვის საგნობრივი კურიკულუმების მოდიფიცირების, დახვეწისა და გაუმჯობესებისათვის. აღნიშნული პროცესი სრულად ითვალისწინებს წინა წლის ძლიერ მხარეებსა და არსებულ გამოწვევებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება სკოლაში დაგროვილ წინარე გამოცდილებას, ასევე ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მიღებულ შედეგებს. აღნიშნული პროცესი მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის სისტემურ მოდიფიცირებას მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. კურიკულუმის განვითარება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რომლის ფარგლებში სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს შესაბამისი დოკუმენტი წინა სასწავლო წლის მონაცემებისა და მიღებული შედეგების საფუძვლიანი ანალიზის შედეგად. სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგები რეგულარულად აანალიზებენ კურიკულუმის დანერგვის პროცესს კათედრების სხდომებზე, სადაც განიხილავენ, როგორც მიღწეულ შედეგებს, ასევე არსებულ გამოწვევებს. ამ პროცესში ხდება შესაბამისი მონაცემების შეგროვება და მათი ანალიზი, რაც ხელს უწყობს ინოვაციური მიდგომებისა და ეფექტიანი სტრატეგიების დანერგვის შესაძლებლობების გამოვლენას არსებული პრობლემების გადასაჭრელად. აღნიშნული გამოცდილებისა და ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, სასწავლო წლის დასრულებისთანავე, პედაგოგები იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად მუშავდება კურიკულუმის განახლებული ვერსია, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კათედრის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია**

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დანართებით.

**თარიღი: 04/05/2026 წ.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ლიკა გიორგაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
ელიზბარ ბარბაქაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი



ხათუნა ნოზაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი



მზია კიპაროიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი



ელენე ხუსკივაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი



თამარი ჩიმაკაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი 

თეა ხუროშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი 

მაია მენაბდე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი 

ჯულიეტა ტაბეშაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი 

ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი 

ხათუნა ბენდელიანი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი 